

იკითხეთ
ჩვენთან ერთად

წიგნის საჯაროდ
კითხვის დღე

სიახლეები

ბიბლიოთეკის
ღონისძიებები და
აქტივობები

ბიბლიოთეკა და
ბიბლიოგრაფიული
ძიებანი

21-ე საუკუნის
ბიბლიოთეკა

ინტერვიუები საინტერესო
ადამიანებთან
ბიბლიოთეკაში

№1

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა ელექტრონული ჟურნალი

რედაქტორი:
ინგა გოგიბერიძე

რედკოლეგია:
ლ. ჭყონია
ნ. ჩიკვაძე
რ. ქინქლაძე
მ. ჩხატარაშვილი
ნ. კაკიტაძე
ნ. ვაშაყმაძე
ს. ინაიშვილი
ბ. ხუციშვილი

ბიბლიოთეკის ისტორიიდან

ბიბლიოთეკა და მკითხველი


ბიბლიოთეკის ოქროს ფონდი

სარჩევი

რუბრიკები

ბიბლიოთეკის ისტორიიდან -----	4
ბიბლიოთეკა და მკითხველი -----	9
ბიბლიოთეკის ოქროს ფონდი -----	10
ფრანგული ინსტიტუტის დირექტორის პიერ კლუეს სტუმრობა -----	11
წიგნის საჯაროდ კითხვის დღე -----	12
21-ე საუკუნის ბიბლიოთეკა	
როგორ ავუწყოთ ფეხი თანამედროვეობას -----	16
ელექტრონული რესურსები -----	20
წიგნების ელექტრონული ვერსია -----	21
გაზეთების ანალიტიკური აღწერილობის ელექტრონული ვერსია -----	22
უცხოენოვანი წიგნებისა და კომპაქ-დისკების ელექტრონული კატალოგები -----	23
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ -----	24
ფოტომატიანე -----	25
ქართული გაზეთების კატალოგების ელექტრონული ვერსია -----	26
ბიბლიოთეკა და ბიბლიოგრაფიული ძიებანი	
გაზეთი „აჭარა“ -----	27
ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“ -----	28
გაზეთი „ხომლი“ -----	29
რაიონული გაზეთები -----	30
ჟურნალები სამართალმცოდნეობასა და იურისპრუდენციაში -----	31
იკითხეთ ჩვენთან ერთად	
ივანე ჯავახიშვილის „ქართული ერის ისტორია“ -----	32
მხედველობის პრობლემის მქონე ადამიანებისათვის -----	33
1918 წლის 26 მაისი -----	34
ფოტოალბომი - „50 ქალი საქართველოდან“ -----	36
წიგნები ბათუმის წარსულზე -----	37
ბათუმი-საქართველოს მარგალიტი! -----	38
ვაჟა ბუნების მესაიდუმლე -----	39
მიხეილ ჯავახიშვილის - წერილი შვილს -----	41
ტურიზმით დაინტერესებულ მკითხველს -----	42
ინტერვიუები საინტერესო ადამიანებთან ბიბლიოთეკაში	
ორასი წელიც რომ ვიცოცხლო საქმე არ გამომეღევა (რამაზ სურმანიძე) -----	43

ეთერ თათარაიძის პორტრეტული შტრიხები კითხვა-პასუხის გარეშე -----	48
"მწერალთა პორტრეტების გრაფიკული მონახაზები" (გენრიეტა ქუთათელაძე) -----	50
საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება	
შეხვედრა საზღაპრეთში - „წერილი ბეზიას ჩურჩხელებთან“ -----	54
საზღაპრეთის გასვლითი პროგრამა -----	55
ღია კარის დღე -----	57
გივი ჭიჭინაძის პოეზიის სადამო -----	58
„მთაწმინდის პანთეონი - ქართველთა ნეკროპოლი“ -----	59
ბიბლიოთეკის ღონისძიებები და აქტივობები	
ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილე -----	60
თამარ ლომაძის პოეზიის სადამო -----	61
პოეტი, ბარდი და კომპოზიტორი - ინგა გოგუაძე -----	62
ნოდარ დუმბაძის გამომცემლობის წიგნების წარდგენა -----	63
ნიაზ ბოლქვაძის საჯარო ლექცია წიგნზე - „აზროვნების ეკოლოგიის - კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება“. -----	64
ივანე მაჩაბლის 165 წლის იუბილე -----	65
ნუგზარ ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სადამო „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“ -----	66
გურამ დოჩანაშვილის 80 წლის იუბილე -----	67
შეხვედრა პოეტ, ლიტერატურათმცოდნე ქეთევან შენგელიასთან -----	68
ქალბატონი ნაზი სარჯველაძის სადამო -----	69
Saorsa - საორსას ერთობლივი პროექტი -----	69
პრეზენტაცია თემაზე: „წარმატებული დიპლომატი ქალბატონები“ -----	70
საჯარო ლექცია „საქართველოს ევროპული გზა - მიღწევები, გამოწვევები -----	70
ამერიკის ელჩი საქართველოში ბატონი როს უილსონი -----	71
სიახლეები	
ტრენინგ-მოდული „პროგრამათა და აქტივობათა სტრატეგიული დაგეგმვა“ -----	72
ტრენინგ-შეხვედრა თემაზე: მარკეტინგისა და პრომოუტინგის ბაზისები!-----	73
ტრენინგ-შეხვედრა თემაზე: მარკეტინგისა და პრომოუტინგის ბაზისები!-----	74
მხატვრის მასტერკლასები-----	75
ფრანგული ენის შემსწავლელი კურსი-----	76
ახალი ტექნოლოგიები -----	77
უცხოური განყოფილება - ჩატარებული სამუშაოები და დასახული ამოცანები-----	78
ქველმოქმედება-----	79
კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა -----	80



ბიბლიოთეკის ისტორიიდან

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა 1902 წლის 13 ოქტომბერს გაიხსნა ბათუმის ინტელიგენციის, ინტელიგენციასთან თანამდგომი ქალაქის დაბალი ფენებისა და ქალაქის მესვეურების ძალისხმევით.

ბიბლიოთეკის გამგეობის შემადგენლობაში შედიოდნენ: ივ. ანდრონიკაშვილი (ქალაქის თავი), გრ. ვოლსკი, ვ. ლორტინი, ე. ტურკინი და კ. ჩხეიძე. ქალაქის მმართველობამ ბიბლიოთეკის საჭიროებისათვის გამოჰყო 1500 მანეთი.

ახლად დაფუძნებული საჯარო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი უმთავრესად შეწირული წიგნებით იზრდებოდა. პირველივე დღიდან ბიბლიოთეკამ მიიღო შემოწირულობა ნ. ს. დერჟავინის, ე. ვ. ტურკინის, ა. რ. ივანოვის, ო. მ. კუზიატინას, ე. პრიმოს და სხვათაგან. 1902-1903 წლებში ქალაქის გამგეობისა და კერძო პირთა წყალობით ბიბლიოთეკის ფონდმა 2088 ბეჭდვითი ერთეული შეადგინა, მათ შორის: შეწირულობის სახით მიღებულია 223 ერთეული, ხოლო შესყიდულია 1865 ერთეული. 1903 წელს ბიბლიოთეკას ჰყავდა 375 აბონენტი, ხოლო ბიბლიოთეკით ისარგებლა 2786 მოქალაქემ. 1904 წელს ბიბლიოთეკის ფონდი შეადგენდა 3691 ერთეულს, ჰყავდა 324 აბონენტი და სარგებლობდა 4814 მოქალაქე. იზრდებოდა მკითხველთა რაოდენობაც და შემადგენლობაც.



ამავე წელს პირველად ჩატარდა წიგნადი ფონდების საინვენტარო აღრიცხვა და შეიქმნა საკატალოგო მეურნეობა. 1905 წლიდან, რევოლუციურ პერიოდში, მკვეთრად მცირდება ფონდის შევსება და მკითხველთა რაოდენობაც, მაგრამ 1908 წელს კვლავ ფართოვდება ბიბლიოთეკის საქმიანობა. 1910 წელს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 7933 ერთეულს შეადგენდა, ხოლო 1911 წლის ბოლოსათვის კი 9 ათას აღემატებოდა. ამ პერიოდისათვის საჯარო ბიბლიოთეკას ჰქონდა 41 სახელწოდების ჟურნალ-გაზეთი, რომელთაგან 6 ქართული იყო.


საჯარო ბიბლიოთეკის გამგეები იყვნენ: 1902 წლის 13 ოქტომბრიდან 1909 წლის 13 თებერვლამდე ე. ვ. ტურკინი, 1909 წლის 13 თებერვლიდან 1910 წლის 13 აპრილამდე პ. ი. კაზანოვსკი, 1910 წლის 13 აპრილიდან ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობს პ. დ. გამყრელიძე, მოადგილედ ო. კუზიატინა (იგი ამ თანამდებობაზე იყო ბიბლიოთეკის დაარსებიდან).

მასალის სიმცირის გამო ჯერჯერობით სრულყოფილად არაა გამოკვლეული, თუ როგორ მუშაობდა 10-20-იან წლებში ბიბლიოთეკა.

1937 წელს მოხდა ამ ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია და შეიქმნა ე. წ. „სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა“, მას მიენიჭა დიდი ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის სახელი. ეს ბიბლიოთეკა დიდხანს იყო განთავსებული პატარა შენობაში, კომინტერნის (ამჟამად მემედ აბაშიძის) ქუჩაზე.

1959 წელს ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკა გარდაიქმნა „აჭარის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკად. ამიერიდან ის წარმოადგენდა ავტონომიური რესპუბლიკის უმთავრეს ბიბლიოთეკას და რეგიონის მეთოდცენტრს.

1950-1960-იან წლებში ბიბლიოთეკის ადრინდელ შენობას რეკონსტრუქცია ჩატარდა და ახალი ორსართულიანი შენობა მიაშენდა. ამგვარად, ბიბლიოთეკის შენობა განთავსდა ორი ქუჩის (ამჟამად ვაჟა-ფშაველასა და მემედ აბაშიძის) კვეთაზე და საკმაო ფართი მიიღო, სადაც ამჟამადაც აგრძელებს ფუნქციონირებას. იმ დროს ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა ცნობილი პოეტი ნანა



გვარიშვილი. ტექნიკური პირობების გაუჯობესებასთან ერთად იცვლება ტექნოლოგიური და მეთოდოლოგიური პროცესებიც. ეს პერიოდი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ბიბლიოთეკისათვის.

სხვადასხვა დროს ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდნენ საზოგადოებრივ და საგანმანათლებლო საქმიანობაში მუშაობის გამოცდილების მქონე პირები: მარია გუსევა, ნანა გვარიშვილი, ჯემალ ჯაყელი, მამია ბერძენიშვილი, ეთერ ცივაძე, სოსო ჯორბენაძე, გენადი მახარაძე. 2018 წლის 27 სექტემბრიდან ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ინგა გოგიბერიძე.

1998 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში განხორციელდა სრული რეორგანიზაცია, დამტკიცდა ახალი დებულება, შეიცვალა სტრუქტურა, საშტატო განრიგი, გაუმჯობესდა შრომისა და მომსახურების პირობები, ჩატარდა სარემონტო სამუშაოები.

2005-2007 წლებში საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში მიმდინარე პროცესების შედეგად აკაკი წერეთლის სახელობის აჭარის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას 2007 წლის მიწურულს შეეცვალა სტატუსი და ის გარდაიქმნა აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკად, რომელიც ორ შენობაში განთავსდა: ერთი - ძირითადი (მდებარეობს მისი პირველადი დაარსების ადგილზე - ვაჟა-ფშაველას ქ. №21) და მეორე - საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება (ივ. ჯავახიშვილის ქ. №72).


ბიბლიოთეკის რეორგანიზაციის ხანგრძლივ პერიოდში ძირითადად ჩამოყალიბდა მისი სტატუსი, უფლება-მოვალეობანი, სტრუქტურა, შრომის პირობები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ამან საშუალება მისცა ზემდგომ ორგანოებს, არსებული კანონმდებლობითი დოკუმენტების გათვალისწინებით, 2012 წლის 23 თებერვალს შეექმნა ბიბლიოთეკის საქმიანობის ოფიციალური საფუძველი წესდების სახით, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული ყველაფერი, რაც ამ პერიოდისათვის ბიბლიოთეკის მუშაობის მიმართულებებს შეესაბამება.



ბიბლიოთეკას, რომელიც ას წელსაა გადაცილებული, ცხადია, მეტად საინტერესო და საყურადღებო ფონდი გააჩნია. მრავლადაა გამოჩენილი მწერლის, საზოგადო მოღვაწის, მეცნიერ-მკვლევარის, პედაგოგის, სხვადასხვა დარგის სპეციალისტ-პროფესიონალის ნაშრომთა და ნაწარმოებთა გამოცემები. აქ თავმოყრილია როგორც ძველი, ისე ახალი წიგნებისა და პერიოდიკის ფონდები, კარტოგრაფიული და გრაფიკული გამოცემები, დისკები და მრავალგვარი აუდიოვიზუალური მასალა. ფონდში დაცული დოკუმენტები წარმოდგენილია ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, თურქულ, არაბულ, უკრაინულ, ბერძნულ, პოლონურ, ჩეხურ, აზერბაიჯანურ, სომხურ, ტაჯიკურ, ბასკურ, ქურთულ, ებრაულ, სპარსულ, შვედურ, იაპონურ, ბულგარულ, ყაზახურ ენებზე. 2017 წლისათვის ბიბლიოთეკის ფონდი შეადგენს 556 118 ერთეულს. საკმაოდ მაღალია ფონდის ბრუნვა და მკითხველთა რაოდენობა. საშუალოდ წლის განმავლობაში გაიცემა 210 ათასი ერთეული, მუდმივ მკითხველთა რაოდენობა 3500-ს შეადგენს, დამსწრეთა რაოდენობა 90 ათას აღემატება.

მომხმარებელთან მუშაობის თვალსაზრისით, ბიბლიოთეკა ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. მას მჭიდრო ურთიერთობა აქვს ქალაქის მოსახლეობასთან, რაც უმეტესად აქ ჩატარებულ ღონისძიებებში ჰპოვებს ასახვას, კერძოდ, ტარდება შემეცნებით დისკუსიები, ლექციები, კონფერენციები, წიგნების განხილვა-გარჩევები, ლიტერატურული საღამოები, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენებები, სლაიდ-შოუები, ბათუმში მოღვაწე შემოქმედ, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლე და სტუდენტ-ახალგაზრდებთან მუშაობას. მუდმივი ურთიერთობაა სკოლებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან, რომელთა მოსწავლეები და სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ ღონისძიებებში და დარგობრივ კლუბებში.

ბიბლიოთეკაში ეწყობა საბიბლიოთეკო დოკუმენტების, როგორც მუდმივი, ისე ახალი წიგნების მრავალფეროვანი გამოფენები, მოქმედებს 10 კლუბი ინტერესთა მიხედვით. წლის განმავლობაში საშუალოდ 60 ღონისძიება, 80 გამოფენა და 75-მდე საკლუბო შეხვედრები იმართება.



მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ბიბლიოთეკა გამართულად და თანამედროვე სტანდარტებით მოღვაწეობს. აქ ყველა პირობაა შექმნილი საქმიანობის მაღალ პროფესიულ დონეზე წარმართვისათვის, თუმცა მეთოდოლოგიურად შრომის პროცესების შემდგომ დახვეწაზე მუშაობა გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკას აღარ აქვს ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი ბიბლიოთეკის სტატუსი, წესდება მას ავალებს და ფაქტობრივადც ის მეთოდურ-პრაქტიკულ დახმარებას უწევს აჭარის ყველა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკას, საბიბლიოთეკო დარგში ინოვაციური პროცესების მართვას.

ახალი საუკუნის დასაწყისიდან ბიბლიოთეკაში დაინერგა ახალი ტექნოლოგიები, შემოიტანეს კომპიუტერები, ტექნიკური აპარატურა, ვითარდება კომუნიკაციის სისტემები, 2001 წლიდან ინტერნეტი გამოიყენება საბიბლიოთეკო პროცესებში და მკითხველთა მომსახურებისას. 2009 წელს შეიქმნა ბიბლიოთეკის ერთიანი კომპიუტერული ქსელი და დაიწყო ელექტრონული კატალოგების წარმოება.

ბიბლიოთეკა თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა საელჩოებსა და მოქმედ ფონდებთან.

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას აქვს არა მარტო დიდი წარსული, ახლანდელი მყარი პირობები, არამედ სამომავლო პერსპექტივები.

ბიბლიოთეკა და მკითხველი

რეგისტრირებული ბიბლიოთეკაში გაწევრიანების მსურველს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, არეგისტრირებს ბიბლიოთეკის მკითხველად, ავსებს მკითხველის ფორმულარს, სადაც შეაქვს გაწევრიანების მსურველი პირის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონი, სასწავლო დაწესებულება.

საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობისთვის მკითხველმა უნდა წარმოადგინოს მკითხველის ბილეთი

მკითხველს შესაძლებლობა აქვს მისთვის საინტერესო მასალა მოიძიოს ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე www.bpl.ge

ბიბლიოთეკის ოქროს ფონდი



ბიბლიოთეკის ოქროს ფონდი

ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ძირითადი წიგნთსაცავი იშვიათ გამოცემათა 2500-მდე ეგზემპლარს იტევს. ჰოდა, გადავწყვიტეთ ეს ოქროს ფონდი დღის სინათლეზე გამოვიტანოთ და ვაჩვენოთ საზოგადოებას ჩვენი ეროვნული სიმდიდრე.



ფრანგული ინსტიტუტის დირექტორის პიერ კლუეს სტუმრობა

ბათუმში, 20-28 მარტის ჩათვლით ფრანკოფონიის კვირეული მიმდინარეობდა, რომელშიც აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაც იყო ჩართული. კვირეულის დახურვის დღეს, 28 მარტს, ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში, უცხოური ლიტერატურის საცავში ფრანგულენოვანი წიგნები გამოიფინა. დაცული უძველესი, უნიკალური ფრანგულენოვანი წიგნები გამოიფინა.

ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი პიერ კლუე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები, ბათუმის ვიცე-მერი და ფრანგული ენით და კულტურით დაინტერესებული პირები სტუმრობდნენ.

სტუმრებს საშუალება ჰქონდათ ბიბლიოთეკის ძირითად საცავში დაცული უნიკალური და რარიტეტული ფრანგულენოვანი წიგნები დაეთვალიერებინათ. მათ შორის მე-17-ე, მე-18-ე საუკუნეში გამოცემული ლიტერატურა, რომელიც სხვადასხვა დროს ბიბლიოთეკისთვის შემოუწირავთ და საჩუქრად გადმოუციათ ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს.

შეხვედრის ბოლოს, ბიბლიოთეკის დარბაზში გაიმართა ფრანგული ენის სწავლების უფასო წრის პრეზენტაცია (პრეზენტატორი - წამყვანი ბიბლიოთეკარი ელენე ტულუში), რომელსაც დაესწრო ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი ბატონი პიერ კლუე სტუმრებთან ერთად.

ჩვენი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით მონაწილეობა, მნიშვნელოვანი და საჭირო გზაა წარმატებისაკენ.



წიგნის საჯაროდ კითხვის დღე



2018 წლის 13 ნოემბერს, 18 საათზე აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას ქალაქ ბათუმის მერი ლაშა კომახიძე ესტუმრა. პროექტ „კითხვის დრო ინგასთან ერთად“ ბათუმის კერძო სკოლა ევრო-2000-ისა და ქალაქის სხვადასხვა სკოლებიდან შეკრებილ ბავშვებს ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „ხაზარულა“ წაუკითხა. შემოდგომის წვიმიან საღამომ თბილ და მყუდრო გარემოში მხიარულად

ჩაიარა. ბატონმა ლაშამ, ქალბატონმა ინგა გოგიბერიძემ და ბავშვებმა ერთმანეთს მოთხრობის შთაბეჭდილებები გაუზიარეს და სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს.



2019 წლის 7 მარტს, 15 საათზე, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში პროექტ „კითხვის დრო ინგასთან ერთად“ ფარგლებში გაიმართა საუბარი მწერალ გურამ პეტრიაშვილის შემოქმედებაზე „ყველაფრის წამალი ამ ქვეყნად სიყვარულია“. ქალბატონმა ინგა გოგიბერიძემ უმასპინძლა ქალაქ ბათუმის კერძო „მომავლის სკოლის“ მეხუთე კლასის მოსწავლეებს და მათ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს. გურამ პეტრიაშვილის მოთხრობამ „მექუდე“ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვებზე. შეხვედრის დასარულს თითოეული მოსწავლე უკვე ოფიციალურად გახდა ბათუმი საჯარო ბიბლიოთეკის მკითხველი და დეტალურად გაეცნო თითოეულ ლიტერატულ სივრცესა და „ამერიკულ კუთხეს“.



✓ 2019 წლის 7 მარტს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში,



პროექტების „წიგნი, ავტორი, მკითხველი“ (ხელმძღვანელი - ინგა გოგიბერიძე) და „ეკვილიბრიუმი“ (გიორგი კეკელიძე) ფარგლებში საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელმა, თამარ ნიკურაძემ და ქალაქ ბათუმის მეოთხე საჯარო სკოლის პედაგოგმა, ლალი ჯაფარიძემ აჭარის მაღალმთიანი რეგიონის სასოფლო ბიბლიოთეკებისათვის წიგნები მოიტანეს საჩუქრად.

2019 წლის 18 მარტს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას კერძო



სკოლა „მასტერკლასის“ მოსწავლეები სტუმრობდნენ. (პედაგოგი - მერი ყაჭეიშვილი). მოსწავლეებმა დაათვალიერეს წიგნის საცავები. „ამერიკული კუთხის“ კოორდინატორმა სალომე ჟორჟიკაშვილმა მოსწავლეებს გააცნო თანამედროვე სამაგიდო თამაშები, ტექნოლოგია „ოზმო“ და 3D კალამი, რომლებითაც დაინტერესდნენ და გახალისდნენ.

საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ პატარა სტუმრებს მწერალ ოტია იოსელიანის ადამიანურ თვისებებზე ესაუბრა და მისი ერთი ნოველაც წაუკითხა.

2019 წლის 22 იანვარს, 15 საათზე აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში პროექტის „კითხვის დრო ინგასთან ერთად“ ფარგლებში მორიგი შეხვედრა ჩატარდა. მწერალ რევაზ ინანიშვილისა და ნოდარ დუმბაძის მოთხრობები „დედა“ მოსწავლეებს ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ წაუკითხა. პროექტში „კითხვის დრო“ მონაწილეობა მიიღეს დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლის მე-7ა და მე-7ბ კლასის მოსწავლეებმა პედაგოგ ნანა



გოგიასთან ერთად და ბათუმის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებმა. შეხვედრას ესწრებოდნენ საჯარო ბიბლიოთეკის აქტიური, პატარა მკითხველებიც. ორი დიდი ქართველი კლასიკოსის მოთხრობა „დედა“, რომელიც სავსეა სევდით, ტკივილით და სიყვარულით ბავშვებმა გულისყურით მოისმინეს და საკუთარი შთაბეჭდილებები თბილი სიტყვებით გადმოსცეს. პროექტის ავტორმა ინგა გოგიბერიძემ ბავშვებს

სთხოვა, მოსმენილი მოთხრობებიდან დარჩენილი ემოციები წერილობით გამოაგზავნონ საჯარო ბიბლიოთეკის მისამართზე ფოსტით. მათი წერილები მალე დაიდებს ბინას საჯარო ბიბლიოთეკის საფოსტო მარკების მუზეუმში. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის მკითხველთა რიგებში გაწევრიანების შემდეგ პატარები გაეცნენ და დაათვალიერეს ბიბლიოთეკის ფონდები, საცავები და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

2019 წლის 1 თებერვალი წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეა! აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ამ დღისადმი მიძღვნილი არაერთი აქტივობა შედგა ბიბლიოთეკის სხვადასხვა სივრცეებში და ლოკაციებზე. წიგნის კითხვის სიყვარულმა ყველა თაობის მკითხველი გააერთიანა. ემოციებით დატვირთული დღის ბოლოს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარებს ჰქონდათ საშუალება, მსმენელის როლში ლექსები და მინიატურები ბიბლიოთეკის დირექტორის ინგა გოგიბერიძისგან და ქალაქ ბათუმის ვიცე-მერის ლელა სურმანიძისგან მოესმინათ.



როგორ ავუწყოთ ფეხი თანამედროვეობას

ყველასათვის ცნობილი ფაქტია, იმისათვის, რომ დღეს ბიბლიოთეკა გახდეს ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნილი, თანამედროვე და საჭირო ადგილი საზოგადოების ყველა კატეგორიისათვის, იგი უნდა იყოს ძლიერი ინფორმაციული და სოციალური ცენტრი, სადაც ადამიანი განავითარებს როგორც საკუთარ ცოდნასა და უნარებს, ისე მოახდენს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას. ასეთი გარემოს შექმნაში განსაკუთრებული წვლილი უნდა შეიტანოს პროფესიონალმა ბიბლიოთეკარმა. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკართა პროფესიონალიზმის ამაღლება არის უმნიშვნელოვანესი საქმე, რასაც წარმატებით ვახორციელებთ.



ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში 2010 წლიდან იქმნება ელექტრონულ მონაცემთა ბაზა. აღნიშნული საქმიანობის შესწავლის მიზნით, 2010 წლის აპრილში ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და სამხარეთმცოდნეო განყოფილების უფროსი რუსუდან ქინქლაძე მივლინებული იყო საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში და გაიარა ISIS პროგრამის პრაქტიკული კურსი. 2010 წლის დეკემბერში ჩვენთან ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ISIS“ ელექტრონული კატალოგების შექმნის პროგრამა - „ახალი საბიბლიოთეკო ელექტრონული პროგრამების ბაზებისა და ტექნოლოგიების სწავლება.“ (ტრენერი დავით მჭედლიშვილი, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა). ტრენინგში მონაწილეობდნენ: ქეთევან ხოსრუაშვილი, თ. ჭყონია, ლ. ბოლქვაძე, ე. წუწუნავა, მ. ლაბაძე, მ. ფუტყარაძე, ბ. ხუციშვილი, ს. ინაიშვილი.

2011 წლის 15 სექტემბერი - ტრენინგი თემაზე „ბიბლიოთეკის ვებ-გვერდის სრულფასოვანი მუშაობა“;

2011 წლის ნოემბერი - ტრენინგი თემაზე „ISIS -ის ელექტრონული კატალოგების განახლებული პროგრამა“; საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელმა მანანა ჩიტაძე-სვანიძემ, რომელიც ერთი კვირით მოვლინებული იყო ჩვენს ბიბლიოთეკაში, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების განყოფილებისა და

საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და სამხარეთმცოდნეო განყოფილების თანამშრომლებს გაუწია პრაქტიკული კონსულტაცია, რომელიც ემსახურებოდა ISIS პროგრამის შესწავლას.

2012 წელი - ტრენინგი თემაზე „მონაცემთა ბაზების მართვის ტექნოლოგიები“;

2013 წელი - ინტეგრირებული კურსი „საზოგადოებასთან ურთიერთობა და ადამიანური რესურსების მართვა.“

2013 წელი - ტრენინგისა და ღონისძიებათა მართვის საკონსულტაციო ცენტრის „ვიპიარის“ ოფიციალური ხელმძღვანელის, PR- მენეჯერის, ქალბატონი ირინა ცერცვადის ტრენინგი „ინტეგრირებული კურსი საზოგადოებასთან ურთიერთობასა (PR) და ადამიანური რესურსების (HR) მართვაში“. სერტიფიკატები გადაეცათ: ლილი ჭყონიას, იზოლდა ევგენიძეს, ბორის ხუციშვილს, სალომე ჟორჟიკაშვილს.

2014 წელს თბილისში ბიბლიოთეკარის პროფესიული სტანდარტის შესამუშავებელ ტრენინგ-სემინარში მონაწილეობისათვის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა გადასცა სერტიფიკატი ბიბლიოთეკის დაკომპლექტების, კლასიფიკაციისა და კატალოგების ორგანიზების განყოფილების მთავარმა ბიბლიოთეკარს, ნანა გვარიშვილს.

2014 წელი, იტალია, ქ. პისტოია. სემინარი „21-ე საუკუნის ამერიკული კუთხეები-ინოვაცია, სწავლება და მეწარმეობა“. (ს. ჟორჟიკაშვილი)

2015 წელი, ვენა, სემინარი „ამერიკული სივრცეების და პროექტების ეფექტური მართვა“. (ს. ჟორჟიკაშვილი)

2015 წლის 18-20 სექტემბერი - საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ტრენინგი ბიბლიოთეკაში თემაზე „ბეჭდური გამოცემების გაციფრების, ვებ-ტექნოლოგიების, ელექტრონული ბაზების და ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა“. (მირიან ხოსიტაშვილი, ლევან თაქთაქიშვილი, რუსუდან ასათიანი, ვიოლა დელიბაშვილი);

2015 წელი, ქალაქი ვენა, სემინარი „ციფრული რესურსების გამოყენება და შეფასება ამერიკული კუთხეებისთვის“. (ს. ჟორჟიკაშვილი)

2016 წლის 6 აპრილი - ტრენინგი თემაზე „ახალი საბიბლიოთეკო ელექტრონული პროგრამების ბაზებისა და ტექნოლოგიების სწავლება.“

2016 წლის 28 ნოემბერი - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ ჩატარებული ტრენინგი „ახალი საბიბლიოთეკო ელექტრონული პროგრამების სწავლება“.

2016 წელი, ვენა, სემინარი „მოწინავე ამერიკული კუთხეები“. (ს. ჟორჟიკაშვილი).

2015 წელს ტრენინგი ქუთაისში - „ბიბლიოთეკა, როგორც თანამედროვე „აგორა“ - დიალოგი ადგილობრივ საზოგადოებასთან“. ტრენინგის მონაწილე კონკურსანტები, მათ შორის შერჩეულ

იქნა ნანა გვარიშვილიც, ვარშავის ბიბლიოთეკების საქმიანობის გაცნობის მიზნით ვიზიტით გაემგზავრნენ პოლონეთში.

2018 წელს, საბიბლიოთეკო საქმიანობის ურთიერთგაზიარების მიზნით, სოციალური მედიის საშუალებით, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში განხორციელდა შემეცნებითი სახის ონლაინ ჩართვა აშშ კოლორადოს შტატის ქალაქ პაიკს პიკის ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან.

2018 წელი - ტრენინგი „საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი, მარკეტინგი, ზოგადი მენეჯმენტი“. (ს. ჟორჟიკაშვილი).

2018 წელს საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში, ბიბლიოთეკართა პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით, ჩატარდა 4 საბიბლიოთეკო სემინარი - გონივრული შესვენების საათი, რომელიც თავად ბიბლიოთეკარებმა მოამზადეს:

1. „პროფესიული დონის ამაღლება, მკითხველებთან მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება;"
2. „მკითხველთა მომსახურების ძირითადი ფორმები და მეთოდები;"
3. „ელექტრონული კატალოგები;"
4. „წიგნები, ფონდის დაცვა."

ბიბლიოთეკის თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, ფონდების დაკომპლექტების და კატალოგების ორგანიზების განყოფილების მთავარმა ბიბლიოთეკარმა თამთა ჭყონიამ 2018 წლის 22 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიარა ტრენინგი „სასწავლო დაწესებულებების და რეგიონების ბიბლიოთეკართა ტრენინგი თანამედროვე სტანდარტების დანერგვის შესახებ".

თამთა ჭყონიამ კოლეგებს ტრენინგზე მიღებული ცოდნა პრეზენტაციაზე სლაიდებით და საინტერესო საუბრის სახით გაუზიარა. საბიბლიოთეკო მომსახურებაში იზრდება მოთხოვნა ახალი ტიპის სერვისებზე. იზრდება თანამედროვე ბიბლიოთეკართა მაღალ კომპეტენციაზე მოთხოვნილებაც. დღეს ბიბლიოთეკარები ვალდებული არიან შეინარჩუნონ არა მხოლოდ ტრადიციული საბიბლიოთეკო საქმის საფუძვლების ცოდნა, არამედ ფლობდნენ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარებს. ეს კი პროფესიული უნარების განვითარებისაკენ გვიბიძგებს, გვასწავლის ბიბლიოთეკის ყოველდღიურ ცხოვრებაში ინოვაციების დანერგვის აუცილებლობას.

2018 წლის ნოემბერში ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ტრენინგი „ახალი საბიბლიოთეკო სერვისების განვითარება“ რუსუდან ასათიანთან ერთად, შესაბამისი სერტიფიკატი გადაეცა 17 მონაწილეს.

2018 წლის ივლისში, ნოემბერსა და დეკემბერში პოლიტიკური მეცნიერების მაგისტრის, ტრენერ მამუკა საფარიძის ტრენინგის „მედიაწიგნიერება და კრიტიკული აზროვნების უნარ-

ჩვევები" გავლისათვის სერტიფიკატი გადაეცა ბიბლიოთეკის 75 თანამშრომელს. დღეისათვის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას, როგორც მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებით დაკომპლექტებულ კოლექტივს, აქვს უდიდესი შესაძლებლობა და ამბიცია, ხელი შეუწყოს ბიბლიოთეკართა თანამედროვე სტანდარტებით გადამზადებას:

2019 წელი გამოვაცხადეთ მეთოდური დახმარების წლად. ამ ტიპის პირველი შეხვედრა შედგა 2019 წლის 28-29 იანვარს. ქალაქ ბათუმის უმაღლესი სასწავლებლების, კერძო და საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარებისათვის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ტრენინგ-შეხვედრა თემაზე: „მარკეტინგისა და პრომოუტინგის ბაზისები“. ტრენინგი ჩატარა ტრენერმა მამუკა საფარიძემ. ტრენინგ-შეხვედრის მანძილზე აპლიკანტებმა შეისწავლეს ბრენდის სამუშაო სივრცის და სერვერების პოპულარიზების სხვადასხვა სახის ტექნიკური შესაძლებლობანი. ტრენინგის 61 მინაწილეს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატი.


2019 წელს ნანა გვარიშვილმა საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებისა და დაინტერესებულ პირთათვის ჩატარა პრეზენტაცია თემაზე: „ინოვაციები და იდეების ზონები პოლონეთის ბიბლიოთეკების მაგალითზე“. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი ფოტო, ვიდეო და ინფორმაციული სლაიდებით ნაჩვენები იყო პოლონეთის ბიბლიოთეკების ისტორია, სტრუქტურა, განვითარების ეტაპები და სამუშაო პროცესები.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა საქმით იმკვიდრებს ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკებისათვის მეთოდური დახმარების ორგანიზატორის, ყველაზე რეიტინგული დაწესებულების სახელს. ამ მისიის აღსრულებაში თავის წვლილს შეიტანს ბიბლიოთეკის 11 თანამშრომელი, რომელნიც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბიბლიოთეკარი“ (სპეციალობა ბიბლიოთეკარი, მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია) სტუდენტები არიან.

დირექტორის მოადგილე

ლილი-ნატო ჭყონია

ელექტრონული რესურსები



ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე E-რესურსები მოიცავს როგორც ელექტრონულ კატალოგებს, ასევე ციფრულ ბიბლიოთეკას - ელექტრონულ ტექსტებს.

ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით შესაძლებელია იმის დადგენა, არის თუ არა ბიბლიოთეკაში ესა თუ ის გამოცემა (ქართული წიგნები, უცხოენოვანი ლიტერატურა, CD-დისკები (ქართულენოვანი), კომპაქტ-დისკები (უცხოენოვანი), DISA - შუშპ, PEF (პლაკატი, ესტამპი და ფურცლოვანი გამოცემები: კალენდარი, თამაშები, რუკები, ატლასები, ბუკლეტები, ფოტოები) და თუ არის, რა შენახვის შიფრითაა ფონდში დაცული.

აქვე შესაძლებელია აჭარაში გამოცემული ჟურნალ-გაზეთების სტატიების ანალიტიკურ აღწერილობათა მოძიება: 1. გაზეთების მატთან - გაზეთების სტატიების ბიბლიოგრაფია. 2. ჟურნალების მატთან - ჟურნალების სტატიების ბიბლიოგრაფია.

საქართველოს გაზეთები - მონაცემთა ბაზა შეიცავს საქართველოში დაბეჭდილი გაზეთებისა და ერთჯერადი გამოცემების ჩამონათვალს, მათ შორის, მიმდინარე გამოცემებისაც. ბაზაში მითითებულია ის გამოცემებიც, რომელთა არსებობაც სხვადასხვა წყაროდან არის ცნობილი. მომხმარებელს საშუალება ეძლევა მოიძიოს საქართველოში გამოცემული გაზეთი არა მარტო სახელწოდების, არამედ გამოცემის დაწყების, ადგილის, რედაქტორის, თემატიკის, გამომცემელი ორგანოს მიხედვით.

ბიბლიოთეკა ჩართულია ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ რომელსაც ახორციელებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

აჭარის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ მომხმარებელს სთავაზობს წიგნების, ფოტოების ელექტრონულ ვერსიებს. „ციფრულ ბიბლიოთეკაში“ ნახავთ ბიბლიოთეკაში დაცული უნიკალური წიგნების ელექტრონულ ვერსიებს. „ციფრული ფოტომატიანე“ კი ითვალისწინებს ფოტოების გაციფრებას.

წიგნების ელექტრონული ვერსია

თანამედროვე ეპოქაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ესოდენ სწრაფმა განვითარებამ საფუძველი დაუდო წიგნის ციფრული ბიბლიოთეკის შექმნას. ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე www.bpl.ge E_რესურსებში ნახავთ წიგნების ელექტრონულ ვერსიას, სადაც გაციფრებული გვაქვს უნიკალური წიგნები. ასევე ავტორები, ხელშეკრულების დადების საფუძველზე, გვაწვდიან მათი წიგნების

ელექტრონულ ვერსიებს, რათა განვათავსოთ ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში.“ ამ პროექტის ფარგლებში წარმოგიდგენთ ბატონ თენგიზ ცეცხლაშვილის

შემოქმედებას, რომელიც 2002 წელს გამოჩნდა სამწერლო ასპარეზზე და უმაღლესი მოიხვეჭა ნაყოფიერი შემოქმედის სახელი. პოემაში „გვირგვინოსანნი“, ქართველ მეფეთა მოღვაწეობის



წარმოჩენით საინტერესოდ არის გადმოცემული საქართველოს ისტორიის ფრაგმენტები უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნის 10-იან წლებამდე. წიგნში „ჩემი ღელე ღურდანი“ საქართველოს განუყოფელი კუთხის, აჭარის ისტორიაა წარმოჩენილი. წიგნი „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა 115 წლისა“ მიემდგნა ბიბლიოთეკის 115 წლის იუბილეს.

ჩვენს ციფრულ ბიბლიოთეკაში ასევე იხილავთ თენგიზ ცეცხლაშვილის ავტორობით გამოცემულ წიგნებს :

1. ლევან ღლონტი;
2. ბათუმის კოლორიტი;
3. გაცრეხებული იმედები;
4. ერთგულებისა და მამაცობის სიმბოლო;
5. ერის სადარაჯოზე : აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი;
6. გივი ჩიჩუა ცეკვის ჯადოქარი;
7. ჩვენი დროის დეკამერონი ნაწილი I;
8. ერისკაცი;
9. კალმის უკვდავი რაინდი;
10. „უმეფობის ჟამს“;

ინფორმაციული ტექნოლოგიების და ელექტრონული რესურსების განყოფილების წამყვანი ბიბლიოთეკარი ლია ბოლქვაძე.

გაზეთების ანალიტიკური აღწერილობის ელექტრონული ვერსია

ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ერთგულმა მომხმარებელმა იცის, რომ ბიბლიოთეკის დაარსების დღიდან ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ბიბლიოგრაფიული განყოფილება. რომლის სხვა დანარჩენ ფუნქციამოვალეობებთან ერთად გაზეთებსა თუ წიგნებში გამოქვეყნებული სტატიებისა და რუბრიკების აღწერა და გახსნა წარმოადგენს. წლების წინ ბიბლიოთეკარები ასე ქმნიდნენ კარტოთეკებს. რაც საშუალებას იძლეოდა მკითხველისათვის



უმოკლეს დროში მიგვეწოდებინა ავტორის, თემის და შინაარსის მიხედვით თავმოყრილი საცნობარო მასალა. ამ საუკუნეში კი ეს ხორცილდება ISIS პროგრამით, ელექტრონულად. რის შედეგადაც კიდევ უფრო სწრაფად ხდება მონაცემთა მოძიება.

2019 წლის იანვრის მონაცემებით შექმნილია 97 265 სტატიის ანალიტიკური აღწერილობა. ამ ბაზაში თავმოყრილია აჭარაში გამოცემული გაზეთების „აჭარა“; „აჭარა P.S“; „ბათუმელები“; „ხულო“; „ქედა“; „შუახევი“; „ჩემი ქობულეთი“; „ქობულეთი“; „ბათუმური ქრონიკები“; „თქვენი გაზეთი“ სტატიების ანალიტიკური აღწერილობის ელექტრონული ვერსია. დეტალური ინფორმაციისთვის გაყევით ბმულს:<http://cat.bpl.ge/ec/ka/nmat/search.html>

რედაქტორი (ელექტრონული ბაზების) - სოფო ინაიშვილი

უცხოენოვანი წიგნებისა და კომპაქტ-დისკების ელექტრონული კატალოგები

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის უცხოურ განყოფილებაში დაცულია სხვადასხვა ენაზე გამოცემული ლიტერატურა. არსებული ფონდის საფუძველზე საშუალება გვებლევა მოვამზადოთ უცხოური წიგნების ელექტრონული კატალოგები. დღეისათვის შექმნილია 1 790 უცხოური წიგნის ელექტრონული კატალოგი და



მითითებულ ბმულზე გაყოლით <http://cat.bpl.ge/ec/ka/gfb/search.html> შეძლებთ სახლიდან გაუსვლელად დააზუსტოთ ინფორმაცია ბიბლიოთეკაში არსებული უცხოური წიგნების შესახებ.



ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის უცხოურ განყოფილებაში მრავლადაა წარმოდგენილი უცხოენოვანი კომპაქტ-დისკები, რომელთა უმეტესი ნაწილი ამერიკის საელჩოს მიერაა მოწოდებული. დღეის მონაცემებით არსებული მასალის საშუალებით შექმნილია 389 უცხოენოვანი კომპაქტ-დისკის ელექტრონული კატალოგი, მითითებულ ბმულზე გაყოლით

<http://cat.bpl.ge/ec/ka/cd/search.html> თქვენ შეძლებთ, სახლიდან გაუსვლელად, გადაამოწმოთ თქვენთვის სასურველი მასალა. ჩვენ ვზრუნავთ ჩვენი მკითხველის კომფორტზე და ვიმედოვნებთ, რომ უმოკლეს ვადაში სრულად შევძლებთ შევავსოთ ელექტრონული მონაცემები.


რედაქტორი (ელექტრონული ბაზების)

სოფო ინაიშვილი

ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა ჩართულია ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ რომელსაც ახორციელებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

❖ ჩვენ უკვე გაგაცანით პროექტი „ციფრული ფოტომატიანე“ ეხლა კი წარმოგიდგენთ პროექტ „ციფრულ ბიბლიოთეკას“, რომელიც, წარმოადგენს ბიბლიოთეკაში დაცული უნიკალური წიგნების ელექტრონულ ვერსიებს. ფონდში შესული წიგნების დათვალიერება შესაძლებელია გამოცემის თარიღის, სათაურის, ავტორისა და თემატური საკვანძო სიტყვების მიხედვით.



❖ გაციფრებული გვაქვს 168 წიგნი, რომლის ნახვა, სახლიდან გაუსვლელად, შეგიძლიათ ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე www.bpl.ge იხილეთ E-რესურსები.

ინფორმაციული ტექნოლოგიების და ელექტრონული რესურსების განყოფილების წამყვანი ბიბლიოთეკარი ლია ბოლქვაძე.

ფოტომატიანე

ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ მომხმარებელს სთავაზობს წიგნების, ფოტოების ელექტრონულ ვერსიებს. იხილეთ www.bpl.ge E-რესურსები. ამ პროექტში ჩაერთო ბატონი რამაზ სურმანიძე, მან გადმოგვცა წიგნების ელექტრონული ვერსიები და უნიკალური ისტორიული ფოტოები ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელისთვის“.

ბატონი რამაზი, გახლავთ მედიკოსი და მეცნიერი, ისტორიკოსი და მწერალი, ჟურნალისტი და პუბლიცისტი, მკვლევარი-მემატიანე და მთარგმნელი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეა. მან თავი მოუყარა საყმაწვილო მოთხრობებს, რომელთა ნაწილი ავტობიოგრაფიულია და ავტორის ცხოვრებაზე გვიამბობს. ავტორმა ათეულობით ნაშრომი მიუძღვნა ქართული გვარების წარმომავლობას და საგვარეულოს მოწინავე წარმომადგენლების ცხოვრება-მოღვაწეობას. მან ასევე გამოსცა წიგნი „ქრისტიანული ძეგლების ტოპონიმია და ძველი საეკლესიო მოღვაწენი“ - რომელიც ეძღვნება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II დაბადების 80 და პატრიარქად აღსაყდრების 35 წლისთავს.

ჩვენს ციფრულ ბიბლიოთეკაში ასევე იხილავთ რამაზ სურმანიძის ავტორობით გამოცემულ წიგნებს:

- ბეჟანიძეები - (ისტორიულ-გენეალოგიური ნარკვევები);
- ბავშვთა და მოზარდთა ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის საფუძვლები;
- დიდი ვეზირი ხოსრო ერისთავი-ჩხეიძე;
- გრიგოლ ვოლსკი - ცხოვრება და მოღვაწეობა;
- ივანე მესხი - (ქალაქის მდივანი)
- ლუკა ასათიანი;
- ნარკვევები ჩურუქ - სუსა და ბათუმზე;
- საყმაწვილო მოთხრობები;
- თავადაზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის ოლქში 1912 წ.;
- ტრაგედია ბათუმში (1937-1938 წლები).

წამყვანი ბიბლიოთეკარი ლია ბოლქვაძე

ქართული გაზეთების კატალოგების ელექტრონული ვერსია

❑ ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგებით შესაძლებელია იმის დადგენა, არის თუ არა ბიბლიოთეკაში ესა თუ ის გამოცემა. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის დარბაზის საცავში 2016 წლიდან მიმდინარეობდა გაზეთების სრული აღწერილობა (ნომერი, რიცხვი, თვე, წელი გვერდების რაოდენობა) ელექტრონული ვერსიისათვის.

❑ შინდა გაცნობოთ, რომ დასრულდა ჩვენს ფონდში არსებული 317 დასახელების 185,089 ერთეული ქართული გაზეთების კატალოგების ელექტრონული ვერსია. ეხლა ვმუშაობთ მიმდინარე ქართულ გაზეთებზე და პარალელურად ვიწყებთ ფონდში არსებული რუსული გაზეთების არქივზე მუშაობას.

❑ მსურველს შეუძლია შევიდეს ბიბლიოთეკის ვებ. გვერდზე, მიუთითოს Bpl.ge. და „საქართველოს გაზეთები“ მონაცემთა ბაზაში ნახოს საქართველოში დაბეჭდილი გაზეთები და ერთჯერადი გამოცემები, მათ შორის მიმდინარე გამოცემებიც.



გაზეთი „აჭარა“

პერიოდიკის დარბაზის საცავში დაცულია ბათუმში გამოცემული გაზეთ „აჭარის“ კომპლექტები, როგორც ქართულ ენაზე, ასევე რუსულ ენაზე. „აჭარა“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთია. იგი გამოდის 1921 წლის 18 მარტიდან. გამოსვლის დღიდან „აჭარას“ რამდენჯერმე შეეცვალა სახელწოდება.

1921 წლიდან გამოდიოდა სახელწოდებით „უწყებები“.

1922 წლის 12 მაისიდან გამოდიოდა „პროლეტარული ბრძოლის“ სახელწოდებით.

1922 წლის 1 ივნისიდან „ბრძოლის“ სახელწოდებით.

1924 წლის მარტიდან „ფუხარას“ სახელწოდებით.

1929 წლის 17 მარტიდან „საბჭოთა აჭარისტანის“ სახელწოდებით.

1936 წლის 6 თებერვალიდან „საბჭოთა აჭარის“ სახელწოდებით.

1990 წლის 14 თებერვალიდან დღემდე გამოდის „აჭარის“ სახელწოდებით.



❖ ჩვენს ბიბლიოთეკაში დაცულია 1934 წლიდან დღემდე გამოცემული გაზეთის ეგზემპლარები.

❖ რუსულენოვანი „Аджария“ გამოდიოდა 1921 წლიდან სახელწოდებით „Батумский рабочий“. 1963 წლიდან „Советская Аджария“ -ს სახელწოდებით, ხოლო 1991 წლიდან დღემდე „Аджария“-ს სახელწოდებით.

❖ ბიბლიოთეკის საცავში დაცულია 1936 წლიდან დღემდე გამოცემული

ეგზემპლარები.

❖ ვისაც გაინტერესებთ თუ რა ხდებოდა ამ წლებში ჩვენს ქალაქში, რა კულტურული და საზოგადოებრივი ღონისძიებები ტარდებოდა, როგორი ამინდი იყო შეგიძლიათ მოძრძანდეთ, შეეხოთ ამ გაზეთების ფურცლებს და შეიგრძნოთ იმ დროის ამსახველი მოვლენები.

კულტურული პროგრამების და სამკითხველო დარბაზებით მომსახურების განყოფილების უფროსი მაია ჩხატარაშვილი.

ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“

❖ დღეს გვინდა გესაუბროთ აჭარაში გამოცემულ პირველ ლიტერატურულ-მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალზე „ლიტერატურული აჭარა“, რომელიც დაარსდა 1958 წელს და რომლის რედაქტორი იყო შოთა ქურიძე. ჟურნალის დაარსების ამოცანა იყო ხელი შეწყობოდა ამ კუთხეში ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებას.



- ❖ იმდროინდელი საზოგადო მოღვაწეები: ლადო გუდიაშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, გიორგი ლეონიძე, გერონტი ქიქოძე, დემნა შენგელია, გრიგოლ აბაშიძე და სხვანი ასე წერდნენ ამ ჟურნალის შესახებ: „უსაზღვრო სიხარულს განვიცდით იმის გამო, რომ ბათუმში გამოსვლას იწყებს ახალი მხატვრული ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“. ჟურნალს გამოცემის დღიდან დღემდე, რამდენჯერმე შეეცვალა სახელწოდება.
- ❖ 1958 წლიდან - 1970 წლამდე გამოდიოდა სახელწოდებით „ლიტერატურული აჭარა“.
- ❖ 1970 წლიდან - 1998 წლამდე გამოდიოდა სახელწოდებით „ჭოროხი“.
- ❖ 1999 წლიდან - 2003 წლამდე გამოდიოდა სახელწოდებით „ლიტერატურული აჭარა“.
- ❖ 2004 წლიდან დღემდე გამოდის სახელწოდებით „ჭოროხი“.
- ❖ მინდა გაცნობოთ, რომ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის დარბაზის საცავში ინახება 1958 წლიდან დღემდე ჟურნალი „ჭოროხი“. ვისაც გაინტერესებთ მოზრმანდით ჩვენთან და მიიღეთ თქვენთვის საჭირო ინფორმაცია მყუდრო და სასიამოვნო გარემოში.

წამყვანი ბიბლიოთეკარი ელენე ტულუში.

გაზეთი „ხომლი“

ყოველდღიურად მიხდება პერიოდიკის საცავში სამუშაო პროცესის განხორციელება, მკითხველი ბევრია და საინტერესო, ხშირად ვაწოდებთ მათ სხვადასხვა შინაარსის ჟურნალ-გაზეთებს. დღეს კი ზუსტად ერთი საუკუნის წინანდელი პრესა გადმოვიღე - გაზეთი „ხომლი“, მას სხვა გაზეთების ნუსხა მოჰყვა. ეს ხომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პერიოდიკაა – პრესა, საიდანაც ყველაზე ცხადად და მრავალფეროვნად ვკითხულობთ ჩვენი ქვეყნის საუკუნის წინანდელ ისტორიას. გაზეთი არის არა მარტო ბიბლიოგრაფიული სიძველეების ბაზა, არამედ ის კარგად წარმოგვიდგენს იმდროინდელ ეკონომიკურ-პოლიტიკურ ვითარებას, გვამცნობს კულტურულ მოვლენებს ქალაქსა თუ სოფლად, გვიყვება ამბებს უცხოური ქრონიკებიდან. აქ შეხვდებით სხვადასხვა ხასიათის სარეკლამო აფიშებს.

ვიცით ასევე, როგორ დაჩქარებულ და საინფორმაციო ბუმის ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც ნებისმიერ ინფორმაციას ელვისებური სისწრაფით მოვიპოვებთ, მაშინ წინა საუკუნის პრესა რა დიდი სენსაცია უნდა იყოს და რითი უნდა გავცდეთ, ეს ფიქრები მალე გაგიქარწყლდებათ, თუკი თქვენს ძვირფას დროს მოანდომებთ ამ პრესის გაცნობას, აუცილებლად კმაყოფილები დარჩებით. ეს გაზეთებია:

„მომავალი „1909 წ.

„მეგობარი“ 1906 წ.

„სახალხო გაზეთი“ 1913 წ.

„ტრიბუნა“ 1922 წ.

„ლომისი“ 1923 წ.

„ხომლი“ 1908 წ.

„ეკალი“ 1908 წ.

„რუბიკონი“ 1923 წ.

„ცნობის ფურცელი“ 1903 წ.

„თემი“ 1913 , 1914 წ.

„ბახტრიონი“ 1922 წ.

„Грузия 1920 წ.

წამყვანი ბიბლიოთეკარი ელენე ტულუში.



რაიონულ გაზეთები

გაგაცნობთ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის დარბაზის საცავში დაცულ რაიონულ გაზეთებს. ესენია: ქობულეთის რაიონული გაზეთი „ჩემი ქობულეთი“, ხელვაჩაურის რაიონული გაზეთი „ოქტომბრის გზით“ და „მაჭახელა“, ქედის რაიონული გაზეთი „ქედა“, შუახევის რაიონული გაზეთი „შუახევი“, ხულოს რაიონული გაზეთი „ხულო“ და დამოუკიდებელი რეგიონალური გაზეთი „მთიანეთი“.

✓ქობულეთის რაიონული გაზეთი „ჩემი ქობულეთი“ გამოდის 1932 წლიდან სახელწოდებით „ქობულეთელი კოლმეურნე“. 1965 წლიდან გამოდიოდა სახელწოდებით „ლენინელი“. 1990 წლიდან „ქობულეთი“ ხოლო 2008 წლიდან „ჩემი ქობულეთი“. ჩვენს ფონდში დაცულია 1957 წლიდან 2017 წლის ჩათვლით.

✓ხელვაჩაურის რაიონული გაზეთი „ოქტომბრის გზით“ 1957-1958 წლებში გამოდიოდა სახელწოდებით „კოლმეურნის გზა“, 1966 წლიდან 1971 წლამდე გამოდიოდა სახელწოდებით „ოქტომბრის გზით“, 1990 წლის აპრილიდან „ჭოროხის“ სახელწოდებით ხოლო 1991 წლის მაისიდან „კახაბერის“ სახელწოდებით. ჩვენს ფონდში დაცულია 1957 წლიდან 2006 წლის ჩათვლით. ასევე ხელვაჩაურუს სახალხო ფრონტის გაზეთი „მაჭახელა“ ჩენს ფონდში დაცულია 1990 წლიდან 1992 წლის ჩათვლით.

✓ქედის რაიონული გაზეთი „ქედა“ გამოდის 1933 წლიდან. 1967 წლიდან 1990 წლებში გამოდიოდა სახელწოდებით „კოლმეურნე“, 1990 წლიდან 2011 წლებში სახელწოდებით „იმედი“, 2011 წლიდან 2018 წლებში სახელწოდებით „ქედა“. ჩვენს ფონდში დაცულია 1967 წლიდან 2018 წლის ჩათვლით.

✓შუახევის რაიონული გაზეთი „შუახევი“ გამოდის 1953 წლიდან. 1958 წლიდან 1990 წლამდე გამოდიოდა სახელწოდებით „დროშა“. 1990 წლიდან 1993 წლებში „შუახევის მოამბე“. 1993 წლიდან 2010 წლებში „ცისკარის“ სახელწოდებით. ხოლო 2010 წლიდან 2018 წლებში „შუახევის“ სახელწოდებით. ჩვენს საცავში დაცულია 1958 წლიდან 2018 წლის ჩათვლით.

✓ხულოს რაიონული გაზეთი „ხულო“ გამოდის 1933 წლიდან. 1933 წლიდან 1990 წლებში გამოდიოდა სახელწოდებით „კოლექტიური შრომა“, 1990 წლიდან გამოდის „ხულოს“ სახელწოდებით. ჩვენს ფონდში დაცულია 1957 წლიდან დღემდე.

კულტურული პროგრამებითა და სამკითხველო დარბაზებით მომსახურების განყოფილების უფროსი: მაია ჩხატარაშვილი.



ჟურნალები სამართალმცოდნეობასა და იურისპრუდენციაში

✓ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის დარბაზიდან, მინდა გაგაცნოთ ჩვენი დარბაზის საცავში დაცული ჟურნალები სამართალმცოდნეობასა და იურისპრუდენციაში. ესენია:

1. „ადვოკატი მეოხი“ . გამოდის 1998 წლიდან. ჩვენს ფონდში დაცულია 1998-2014 წლები.
2. „ადამიანი და კონსტიტუცია“. გამოდის 1996 წლიდან. ჩვენს ფონდში დაცულია 1999-2004 წწ
3. „კოდიკო“ . გამოდის 1991 წლიდან. ჩვენს ფონდში არის 1997-1999 წლები.
4. „მართლმსაჯულების მაცნე“. გამოდის 1969 წლიდან. ჩვენს ფონდში დაცულია 1993-1997 წლები.
5. „მართლმსაჯულება და კანონი“. ჩვენს ფონდში დაცულია 2011-2018 წლები.
6. „საკანონმდებლო მაცნე“. ჩვენს ფონდში დაცულია 2002-2004 წლები.
7. „სამართალი“. გამოდის 1954 წლიდან. ჩვენს ფონდში დაცულია 1969-2004 წლები.
8. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი“: ადმინისტრაციულ საქმეებზე, სამოქალაქო საქმეებზე და სისხლის სამართლის საქმეებზე. ჩვენს ფონდში მოიპოვება 2009-2019 წლები.
9. „საქართველოს ნოტარიატი“. ჩვენს ფონდში არის 2001 წლის.
10. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“. ჩვენთან არის 1996-2010 წლები.
11. „საქართველოს უმაღლესი საბჭოს უწყებები“ 1991 წლიდან გამოდიოდა სათაურით „საქართველოს პარლამენტის უწყებები“. ჩვენს ფონდში არის 1951-1994 წლები.

მთავარი ბიბლიოთეკარი

მანანა ყაჭიშვილი.



ივანე ჯავახიშვილის „ქართული ერის ისტორია“

ძირითადი წიგნსაცავის ფონდში დამსახურებული ადგილი უკავია ივანე ჯავახიშვილის თხზულებებს.

„ქართველი ერის ისტორია“ ქართული ისტორიოგრაფიის დიდი მონაპოვარია და მას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს. ამ ნაშრომის I წიგნი ერთი საუკუნის წინ, 1908 წელს, გამოიცა, მაგრამ მას დღემდე არ დაუკარგავს თავისი სამეცნიერო მნიშვნელობა. მართალია, ახალი



წყაროებისა და აღმოჩენების საფუძველზე ბევრი საკითხი უკვე ახლებურადაა გააზრებული და დაზუსტებული, მაგრამ დიდი ივანეს დაკვირვებები, ამა თუ იმ მოვლენის მისეული ინტერპრეტაცია დღემდე ფასდაუდებელია.

ხუთტომეულის პირველი წიგნი მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან VII ს. პირველ ნახევრამდე, ანუ არაბების ბატონობამდე.

მეორე წიგნში გადმოცემულია საქართველოს ისტორია არაბთა ბატონობის დამყარებიდან (VII ს.

50-იანი წლები) თამარის მეფობის ჩათვლით.

მესამე წიგნი (ორ ტომად) მოიცავს XIII-XV საუკუნეებს.

მეოთხე წიგნში შესულია XVI-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორია. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია ხუთ ტომად“ გამომცემლობა პალიტრა L-ის პროექტია, იგი შეადგინა ჯაბა სამუშიამ და გათვალისწინებულია საზოგადოების ფართო წრისთვის

ძირითადი წიგნსაცავის მთავარი ბიბლიოთეკარი

ნატალია გიორგაძე

მხედველობის პრობლემის მქონე ადამიანებისათვის

ფრანგი ტიფლოპედაგოგი ლუი ბრაილი 3 წლის ასაკში დაბრმავდა. 1829 წელს მან შეიმუშავა



მთელ მსოფლიოში დღემდე ხმარებული ე.წ. ბრაილის შრიფტი, რელიეფურ-წერტილოვანი შრიფტი, მხედველობის პრობლემის მქონე ადამიანებისათვის. პირველი წიგნი, რომელიც ბრაილის შრიფტით დაიწერა იყო „საფრანგეთის ისტორია“.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის დარბაზის ფონდში დაცულია ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი 3 ცალი აუდიო წიგნი და 135 ცალი წიგნი. მკითხველს აქვს შესაძლებლობა წაიკითხოს ქართველ

კლასიკოსთა: ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, მიხ. ჯავახიშვილი, გ. ტაბიძე და სხვათა ნაწარმოებები. გვაქვს აგრეთვე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვთა უფლებების კონვენცია, საქართველოს კონსტიტუცია და ახალი აღთქმა ექვს წიგნად. გარდა წიგნებისა პერიოდიკის დარბაზში დაცულია 254 ცალი დისკი აუდიოჩანაწერებით, სპეციალურად უსინათლოებისათვის, რომლებზეც სათაურები და წარწერები გაკეთებულია ბრაილის შრიფტით. დისკები მოიცავს როგორც ქართველ, ასევე უცხოელ ავტორებს.

როგორც წიგნები, ასევე დისკები დამზადებულია აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა კავშირ „ჰერაში“. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს შეუძლიათ მობრძანდნენ და ისარგებლონ ჩვენი ბიბლიოთეკის მომსახურებით.

მთავარი ბიბლიოთეკარი

მანანა ყაჭეიშვილი.

1918 წლის 26 მაისი

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მსოფლიომ „დე ფაქტოდ“ და „დე იურედ“ სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. მოუხედავად ამისა, 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ მოახდინა საქართველოს ანექსია.

თბილისის ასადებად 11 თებერვალს დაძრული რუსეთის მე-11 არმიას ქართული ჯარი, სახალხო გვარდია და მოხალისეები თბილისის მისადგომებთან გადაუდგნენ წინ. ცხარე ბრძოლები გაიმართა კოჯრისა და ტაბახმელის მიდამოებში. მტერი წინ ვერ მიიწევდა. ქართველთა თავგანწირული წინააღმდეგობისა და დიდი მსხვერპლის შედეგად 20 თებერვალს მე-11 წითელი არმია უკუგდებულ იქნა. 24 თებერვალს კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა. მტერმა შეესება მიიღო. ქართულ ჯარს რეზერვები აღარ გააჩნდა. საქართველოს მთავრობამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან დახმარება ვერ მიიღო. მოუხედავად თავდადებული ბრძოლისა და დიდი შემართებისა ქართველები დამარცხდნენ.

25 თებერვალს ბოლშევიკებმა უბრძოლველად დაიკავეს თბილისი. საქართველომ როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჯერ ბათუმში გადავიდა, ხოლო შემდეგ საქართველო დატოვა და ემიგრაციაში წავიდა. სერგო ორჯონიკიძემ მოსკოვს უღებუა: „თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს“. ქართველმა პოეტმა კოლაუ ნადირაძემ თებერვლის მოვლენებს მიუძღვნა ლექსი „1921 წლის 25 თებერვალი“

თოვდა ... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
ძილ-ღვიძრად იყო ქალაქი ჩემი,
საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი
ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი.



დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
 დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
 მხოლოდღა თოვლი ცვიოდა ნელა,
 ეფინებოდა გმირების გვამებს
 განგმირულ მკერდებს, დაღწილ მკლავებს,
 და უძრავ იყო თებერვლის ღამე.
 თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
 დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
 იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები,
 სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
 სად ქართლის დედის ცრემლით ნანამი,
 მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,
 სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
 თოვს დაეფარა კრწანისის ველი,
 წითელი დროშით, მოღერილ ყელით
 თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
 შემოდოდა სიკვდილი ცელით!
 თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
 დუმდა სიონი და დუმდა ხალხი!
 მოგაწვდით ამ საკითხისადმი მიძღვნილი ლიტერატურის ჩამონათვალს:

1. ზურაბ ავალიშვილი საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში თბილისი 2011
2. გრიგოლ ლორთქიფანიძე ფიქრები საქართველოზე თბილისი 1995;
3. რევაზ კვერენჩილაძე საბუთები დადადებენ თბილისი 2011;
4. შოთა ვადაჭკორია საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დამარცხების ზოგიერთი ფაქტორის დაზუსტებისათვის (1921 წლის თებერვალ-მარტი);
5. ნესტან კირთძე პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა თბილისი 1996;
6. ნოე ჟორდანია ჩემი წარსული თბილისი 1990;
7. გენერალი გიორგი კვინიტაძე ჩემი პასუხი თბილისი 1990;
8. გენერალი გიორგი მაზნიაშვილი მოგონებანი.
 ძირითადი წიგნსაცავის
 განყოფილების უფროსი
 ნინო ვაშაყმაძე

ფოტოალბომი - „50 ქალი საქართველოდან“

გვინდა წარმოგიდგინოთ ძირითადი წიგნსაცავის ფონდში დაცული წიგნებად აკინძული ფოტოსურათების ორი ალბომი სახელწოდებებით: „მშვენიერება ზეცით მოსული“ და „მშვენიერთა სავანე“. ეს ალბომები გვირგვინია სილამაზისა, ქართველ ქალებს მშვენიერმა ქალბატონმა, ესთეტმა და ხელოვანმა, დამანა მდივნიშვილმა რომ მიუძღვნა.

ქალს საქართველოში ყოველთვის ჰქონდა სათნოების, სიწმინდის, ერთიანობისა და მშვიდობის დამამკვიდრებლის ფუნქცია. ორივე ალბომი შეხვედრას ქართველ ქალებთან, რომელთა სილამაზე და მშვენიერება არაერთხელ ყოფილა აღნიშნული, როგორც ქართველ კლასიკოს მწერალთა, ისე უცხო ქვეყნების გამოჩენილი ადამიანების მიერ.



ასევე წარმოგიდგენთ ჩვენს ფონდში არსებულ ფურცლოვან გამოცემას, ლამაზ მუყაოს ყუთში დავანებულ ბარათებს სახელწოდებით „50 ქალი საქართველოდან“. ამ ბარათებით 50 ქალი თავიანთ ისტორიას მოგიყვებათ. ისინი ახალს ქმნიდნენ, აღმოჩენებს აკეთებდნენ, იბრძოდნენ ცვლილებებისათვის, არ ეშინოდათ სიახლის. ისინი XIX-XX საუკუნეების საქართველოში ცხოვრობდნენ და შრომობდნენ და ალბათ, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ათეულობით წლის შემდეგ მოვინდომებდით მათ შესახებ უფრო მეტი გვცოდნოდა, ან ზოგ შემთხვევაში, თავიდან გაგვეცნო კიდევ. მათ ბიოგრაფიებსა და ფოტოებს ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონულმა ბიურომ სხვადასხვა მუზეუმებში, საოჯახო და სახელმწიფო არქივებში მიაკვლია და შეკრიბა. მოზრძანდით, შეიგრძენით და დატკბით შეჩერებული წამის მშვენიერებით.

ძირითადი წიგნსაცავი

ნინო ვაშაყმაძე

წიგნები ბათუმის წარსულზე



მოგესალმებით, შეგახსენებთ, რომ ორი წერილი უკვე მივუძღვენიტ ჩვენს საყვარელ ქალაქზე დაწერილ რამდენიმე წიგნს. ბათუმი მუდამ იზიდავდა მტერსაც და მოყვარესაც თავისი მდებარეობით, ზღვით, საზღვაო პორტით, ზღვისპირა პარკით, ბოტანიკური ბაღით, ბევრი სხვა ღირსშესანიშნაობით. მუდამ იყო და არის პოეტთა, მხატვართა, კომპოზიტორთა მუზა. ბათუმი კოპწია,

ბათუმი ქათქათა, ბათუმი წარმტაცი, სტუმართმოყვარე, თბილი.

ჩვენს იშვიათ გამოცემათა ფონდში დაცულია წიგნები მე-19-20 ს ბათუმის წარსულზე, მოსახლეობაზე, ყოფაზე, კლიმატზე, განათლებაზე, მედიცინაზე, სოფლის მეურნეობასა და სხვა საინტერესო საკითხებზე. ჩამოვთვლით ზოგიერთ მათგანს:

1. Батумъ и его окрестности, Батумъ. Типография В. Киладзе и Г. Таварткиладзе 1906;
2. Суворов А. Описание города Батума. 1895;
3. Френкель А. Очерки Чурук-су и Батума. 1879;
4. Краткий очеркъ возникновения и развития городского Александровскаго сада и бульвара Цесаревича Николая въ г. Батумъ, Батумъ, 1903;
5. Южный берег Чёрнаго моря. Климато-лечебный курорт Батумъ. Батумъ, 1912;
6. К вопросу о курортъ въ Батумъ. Батумъ. Типография Х.М. Шмаевского 1915;
7. Всеобщий Адресъ Ежегодникъ города Батума на 1902 годъ. Батум. Типография Киладзе, 1902;
8. Обзоръ Батумской области за 1910 годъ. Батумъ, 1912;
9. Кузятин Д.М. Очерк холерной эпидемии 1892 года въ г. Батумъ (Кут.губ.) Одесса, 1893;
10. Триантафиллидес Т.П. Климатъ и климатотерапія Батума и его окрестностей. Батумъ, 1913;
11. Протоколъ общества врачей въ городъ Батумъ. Батумъ, 1903;
12. Сборникъ дѣйствующихъ въ гор. Батумъ обязательныхъ постановлений. Батумъ, 1902..

აღბათ დამეთანხმებით, ჭეშმარიტი ბათუმელობა შენი ქალაქის წარსულის ცოდნაცაა. თუ დაინტერესდებით მოზრმანდით, გვიგულეთ თქვენს სამსახურში

ძირითადი წიგნსაცავი

ნ. ვაშაყმაძე

ბათუმი-საქართველოს მარგალიტი!

ყველა ჩვენთაგანისთვის საყვარელი

ქალაქი...

ჩვენი სიამაყე!

დღეს, როცა ბათუმში მიმდინარე პროცესები სამუდამოდ ცვლის ძველი ქალაქის იერსახეს, მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის ქალაქის ისტორიისა და იმ ადამიანების შეხსენება, რომლებიც ბათუმში ცხოვრობდნენ.

სწორედ ამიტომ მინდა გაგაცნოთ გაზეთ „ბათუმელების“ მიერ გამოცემული წიგნები: „მოგზაურობა ძველ ბათუმში“ და შ. გუჯაბიძის „ბათომი“, რომლებიც ძველ, საუკუნის წინანდელ ბათუმში დაგაბრუნებთ. სტატიები მომზადებულია ისტორიულ ცნობებზე, დოკუმენტებსა და მოგონებებზე დაყრდნობით. დასურათებულია კერძო კოლექციებში დაცული უნიკალური ფოტომასალით, რომელიც ძველი ბათუმის ყოფა-ცხოვრებას, ქუჩებსა და ისტორიულ ფაქტებს ასახავს. სწორედ ამ წიგნებიდან ვგებულობთ, რომ სახელწოდება „ბათუმი“ XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი მესამედის ბათუმს უკავშირდება. იმ დროს ქალაქს ბათომსაც უწოდებდნენ და ბათუმსაც. ასე იყო 1936 წლის 17 აგვისტომდე, როცა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო აგეგმვისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს ტრანსკრიფციის ბიურომ ქალაქს „ბათუმი“ უწოდა. მას შემდეგ სიტყვა „ბათომი“ ოფიციალური დოკუმენტებიდან გაქრა.

წიგნებში მოთხრობილი ყველა ამბავი მაშინ იწყება, როცა ბათუმს ჯერ კიდევ ბათომს უწოდებდნენ, ქალაქი თანდათან იზრდებოდა, იერს იცვლიდა და მასთან ერთად იცვლებოდა იმ ადამიანების ბედიც, რომლებიც ამ ქალაქში ცხოვრობდნენ.

ძვირფასო მკითხველებო, გირჩევთ წაიკითხოთ ეს წიგნები, იმოგზაუროთ ბათუმის წარსულში, აღმოაჩინოთ უცნობი ბათუმი... წინ დიდი სიამოვნება გელით... ბათუმის ისტორიის შესახებ საინტერესო ცნობებს პერიოდულად კვლავ მოგაწვდით.

ძირითადი წიგნსაცავის განყოფილების

მთავარი ბიბლიოთეკარი ნატალია გიორგაძე



ვაჟა ბუნების მესაიდუმლე

ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი) დაიბადა 1861 წელს. დუშეთის რაიონ სოფელ ჩარგალში. ვაჟა არა მარტო ბუმბერაზი მწერალი, ბუმბერაზი პიროვნება იყო. მისი შემოქმედება ხალხს უყვარდა. ქართულმა სიტყვაკაზმულმა საზოგადოებამ ლიტერატურული სადამო გაუმართა და დაფნის გვირგვინი მიართვა წარწერით „ქართული პოეზიის არწივს“. ქართველ პოეტთა შორის არავინ არ ყოფილა ბუნებასთან ისე დაახლოებული და გულის ფესვებით მასთან დაკავშირებული, როგორც ვაჟა-ფშაველა. იგი ცხოვრობდა მთების გარემოცვაში. მთები პოეტისათვის კვარცხლბეგი იყო, რომლის მეშვეობით იგი მაღლდებოდა და მაღლიდან თავის ქვეყანასაც უფრო იმედიანად უცქეროდა.

ვაჟა-ფშაველას მიერ შექმნილ პოეტურ პეიზაჟებში „ღამე მთაში“, „ზამთარი მთაში“, „გაზაფხული“ წერის რეალისტური მანერაა გამეფებული და ყოველ ნახატში სიზუსტე და სისადავე შეიმჩნევა.

ლექსი „ღამე მთაში“, უფრო მუქი ფერებითაა შესრულებული და ბუნების შინაგან წყობაში დახატულია თავისებური ჰარმონია და თანხმოება:

„ხევი მთას ჰმონებს, მთა-ხევსა
წყალნი-ტყეს, ტყენი-მდინარეთ,
ყვავილნი-მიწას და მიწა -
თავის აღზრდილთა მცენარედ
და მე ხომ ყველას მონა ვარ
პირზედ ოფლ-გადამდინარედ“.

ასეთი მთლიანობა შეუმჩნევია პოეტს ბუნებაში



და თავადაც დამონებია გარემოს - ვაჟას აზრით, ბუნება ადამიანის მესაიდუმლეა, მკურნალია და ხშირად მისი სულიერი ცხოვრების გამოძახილია, როდესაც ვაჟა მდუმარე და რაღაცის მომლოდინე მთებს ეკითხება, რატომ არ მღერით მთებო, როდესაც ის ამბობს „ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინო“, როდესაც მომაკვდავ იას ათქმევინებს „თუ გამაჩინე უფალო დიდი დღე რად არ მამეო“. იგი თავის ორიგინალურ შეგრძნებებს გადმოგვცემს.

ვაჟა-ფშაველას პატარა მოთხრობები - „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ია“, „მთის წყარო“, „ქუჩი“, „ფესვები“ და სხვები. უწინარეს ყოვლისა მოზარდი თაობისთვისაა განზრახული, მაგრამ ამ მოთხრობებში ავტორმა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატა თავისი ძირითადი რწმენა, რომ ადამიანი ახლობელი და ნათესავია ცხოვრებისა და მცენარეებისა:

„უსულო საგნებს სული ჩავბერე
და ვასაუბრე ლოდები კლდისა

და როგორც მეფე გავათამამე
ქუჩი ბალახი იმ მწირი მთისა“.

მართლაც, ვაჟას შემოქმედებაში ამოიდგა ენა ბუნებამ. სწორედ ვაჟამ დაინახა ბუნების შვილები როგორ გამოხატავენ მადლიერებას და სიყვარულს ბუნების მიმართ. უღრან ტყეში მოსული ია ნატრობს, რომ დამბადებელს მისთვის სიმღერის ნიჭი მიეცა, რათა მაღლა ცა, ღრუბლები და მზე შეექო, ხოლო დაბლა მისი მფარველი ხეები და მთები. რა არის მთის წყარო, თუ არა მხოლოდ უმანკოება და სიკეთისათვის დამაშვრალობა.

ვაჟას მიერ გასაოცრად გასულიერებული და ამეტყველებული ბუნება თავისი დიდი სიკეთით ბოროტებისა და ავკაცობის წინააღმდეგ ამხედრებით გვაჯადოებს და გვხიბლავს. იგი მთელი არსებით გადავიდა ბუნებაში და ეზიარა თავის ხალხს.

ვაჟას შემოქმედება გვარწმუნებს, რომ „დედამიწას სიყვარული ატრიალებს“ როგორც გურამ დოჩანაშვილი ათქმევინებს თავის პერსონაჟს და ამ სიყვარულით გამთბარი ბუნების გულის ფეთქვა დაგვანახა დიდმა ვაჟამ - ბუნების მესაიდუმლემ ადამიანებს.

ამიტომაც გიწვევთ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში, სადაც აბონემენტის განყოფილებაში დაცულია ვაჟა-ფშაველას თითქმის ყველა გამოცემა.

მოზრძანდით იკითხეთ ეზიარეთ ბუნებას და ვაჟას შემოქმედებას.

აბონემენტის განყოფილების უფროსი ნაირა მენაფირე.

მიხეილ ჯავახიშვილის - წერილი შვილს

მიხეილ ჯავახიშვილის მიერ დატოვებული წერილი პატარა შვილისადმი, სადაც ნათლად ჩანს, თუ როგორი დიდი ადამიანი და მოაზროვნე იყო მწერალი... კაცი, რომელმაც თავისი ცხოვრება საკუთარი სამშობლოსა და ხალხის სამსახურს შეწირა, კომუნისტურმა რეჟიმმა 1937 წელს "ხალხის მტრის" ბრალდებით დახვრიტა..

მინდა გითხრათ, გარდაცვალება ან გვაშორებს, ან გვაახლოვებს გარდაცვლილთა სულებს. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა დაგვაახლოვოს, რადგან ამას იმსახურებს



ადამიანი, რომელმაც ახალგაზრდობას-მომავალ თაობას დაუტოვა ასეთი რჩევა-დარიგება. დაგვიტოვა არაჩვეულებრივი შემოქმედება. გთავაზობთ ქეთევან ჯავახიშვილის - „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებას“.

✓ შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთგული წევრი და მსახური შენი მშობელი საქართველოსი.

✓ შენი სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი, შენი პირადი მეგობარი.

✓ ყველაფერი, რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი, შენს მამულს ეკუთვნის. შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყრელი შვილი.

✓ მიეცი მას წრფელი გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს.

✓ მაინც მუდმივ მხოლოდ შენი თავის იმედი იქონიე. ისე იცხოვრე, ვითომ ამ ქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი.

✓ განაგე თავი შენი და დაუმორჩილე გონებას შენი ჟინი, კერპი გული და ურჩი სურვილები.

✓ გზის გაკვლევა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით. ზარმაცობა, ცულლუტობა, სიცრუე და სიყალბე ადამიანს ადრე თუ გვიან უეჭველად დაღუპავს.

✓ სანამ საკუთარ ფეხზე არ დამდგარხარ, მშობლებს ყველაფერი დაუჯერე. იმათ შენთვის მხოლოდ სიკეთე უნდათ. ჯერჯერობით საკუთარ ჭკუას, ჟინს და გულის ზრახვას ნუ აჰყვები.

✓ თავმოყვარეობა შეიძინე და თავის თავის ფასი ისწავლე, მაგრამ ნუ გადააჭარბებ. არ გაამაყდე.

✓ ბოლოს და ბოლოს, ყოველთვის სჯობს სამი რამ: პირველი – შრომა, მეორე – შრომა და მესამე – შრომა.

გთოხვთ წაიკითხოთ მწერლის ცხოვრების შესახებ და მისი შემოქმედება: „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „გივი შადური“, „თეთრი საყელო“ და სხვა.

მთავარი ბიბლიოთეკარი ნანა კვაჭაძე

ტურიზმით დაინტერესებულ მკითხველს

✓ადამიანებს ყოველთვის ჰქონდათ მისწრაფება დასვენებისა და მოგზაურობისაკენ. მოთხოვნილება დასვენებაზე გაჩნდა მაშინ, როცა ადამიანმა დაიწყო შრომა. უძველეს დროში ბერძნები ეწოდნენ ე.წ. „ტურიზმს“ რელიგიური და სპორტული მიზნებით. ძველი ბერძნებისაგან განსხვავებით ტურიზმი რომაელებისათვის გართობისა და დასვენების საშუალება იყო.თუ ადრე იგი ფუფუნებად ითვლებოდა, რომლითაც მხოლოდ საზოგადოების პრივილეგირებული, მცირერიცხოვანი ფენები სარგებლობდნენ, ახლა ტურიზმს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მისდევს. ადამიანთა უმეტესობა თვლის, რომ მათ დამსახურებლად აქვთ უფლება იყვნენ ტურისტები.

✓ტურიზმი თანამედროვე ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია. იგი აღიარებულია თანამედროვეობის სოციო-კულტურულ ფენომენად. დღესდღეობით მრავალ ქვეყანაში ტურიზმი ეკონომიკის წამყვანი დარგია. თანამედროვე ტურიზმის ბიზნესი მოითხოვს ენერგიული შემოქმედებითად აქტიური, ძლიერი პიროვნებების მოზიდვას და სპეციალისტების აღზრდას, მათი სათანადო ცოდნით აღჭურვას. საქართველოში ამ მიზნებს ემსახურება არა ერთი სახელმწიფო თუ კერძო უმაღლესი სკოლის სათანადო ფაკულტეტები და კათედრები.

✓ტურიზმის დარგში პროფესიული კადრების აღზრდისათვის მეტად მნიშვნელოვანია ამ დარგის ქართულ ენაზე შექმნილი თანამედროვე სახელმძღვანელოები. ჩვენი ბიბლიოთეკის ფონდში დაცული სახელმძღვანელოები ვფიქრობთ დიდ სამსახურს გაუწევს სტუდენტებს, ტურიზმის სფეროში დასაქმებულ მუშაკებსა და ტურიზმით დაინტერესებულ მკითხველს. გთავაზობთ ლიტერატურის ჩამონათვალს:

1. ჩარლზ რ. გელდნერი ჯ. რ. ბრენტ რითჩი ტურიზმი საფუძვლები, პრაქტიკა, თეორია 2013;
2. აჭარა ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები, ბათუმი 2016;
3. ლ. დოლიკაშვილი, მ. ღვინჯილია, ნ. ჯაშიაშვილი ტურიზმის საფუძვლები, თბილისი 2012;
4. ლ.დოლიკაშვილი, მ. ღვინჯილია, ნ.ჯაშიაშვილი ტურიზმისა და სასტუმროების ეკონომიკა, თბილისი 2013;
5. მ. მეტრეველი ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები, თბილისი 2008;
6. თ. სირბილაძე ტურისტის გზამკვლევი, თბილისი 2008;
7. კ. აბულაძე სასტუმრო ინდუსტრია და ტექნოლოგიები, თბილისი 2008;
8. თ. ბენიძე, გ. ბარნოვი მე რესტორატორი ვარ, ჰორეკა მენეჯერის სამაგიდო წიგნი, თბილისი 2014;
9. ა. ხაჭაპურიძე, ლ. ხარტიშვილი. ტურისტთა და კვების თავისებურებანი, თბილისი 2010;
10. ლ. ხარტიშვილი. ტურიზმი სოფლად, 2008;
11. გ. შუბლაძე, ლ. დოლიკაშვილი. ტურიზმის მარკეტინგი, თბილისი 2009;
12. მ. მეტრეველი. ტურიზმი და გარემოს დაცვა, (ეკოტურიზმის საფუძვლები), თბილისი 2008;
13. მ. ბირჟაკოვი. ტურიზმის თეორია, თბილისი 2008;
14. ექსკურსიათმცოდნეობა, ბათუმი 2009
15. ხ. ბერიშვილი. საერთაშორისო ტურიზმის ბიზნესი, თბილისი 2012;
16. დ. მაისურაძე თ. ხუციშვილი. ტურიზმის შესავალი, თბილისი 2013;
17. ლ. ყორღნაშვილი. საერთაშორისო ტურიზმი, თბილისი 2012;

ძირითადი წიგნსაცავის განყოფილების
უფროსი ნინო ვაშაყმაძე



ორასი წელიც რომ ვიცოცხლო საქმე არ გამომეღევა

დღეს ჩვენი რუბრიკის „მე მზად ვარ გული გადაგიშალო“ რესპოდენტი არის ცნობილი მწერალი, მეცნიერ-ისტორიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ სურმანიძე. ბატონი რამაზი ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი და სტუმარია და ჩემი პირველი შეკითხვაც სწორედ ბიბლიოთეკას უკავშირდება:



1. ბატონო რამაზ, თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალი და

მეცნიერი 1968 წელს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკასთან შექმნილ სამეცნიერო-საბიბლიოთეკო საბჭოს თავმჯდომარედ დაგამტკიცეს. ხომ ვერ მეტყვით, რატომ თქვენ? და რას გაიხსენებდით?

მეორე მსოფლიო ომის დროს დედამ 5 შვილი ჭვანის ხეობაში სოფელ ჭალაში გაგვიხიზნა. მალე უფროსები საკუთარ გზას დაადგნენ, მე უმცროსი ვიყავი და ფოსტალიონობა დამაკისრეს. სასოფლო საბჭოში ცენტრიდან ფოსტა რომ დაიგვიანებდა, მე ბიბლიოთეკას ვაფარებდი თავს. გამგე ქალბატონი ელენე ნაკაიძე შემირჩევდა წიგნს. იქვე ვკითხულობდი, ზოგჯერ სახლში წაღებასაც მენდობოდა. ამან დიდად განაპირობა ჩემი კავშირი წიგნთან და წერასთან. რაც შეეხება საბიბლიოთეკო საბჭოს თავმჯდომარედ არჩევას, ამას წინ უსწრებდა ბიბლიოთეკაში ჩემი ხშირი სტუმრობა, ჯერ კიდევ ყმაწვილობის ასაკში, 1947 წლიდან. ალბათ ასეთი „სტაჟიანი“ მკითხველი იშვიათი იყო და მაშინდელმა დირექტორმა, ქალბატონმა ეთერ ცივაძემაც ჩემზე შეაჩერა არჩევანი.

2. თქვენ არა ერთხელ გითქვამთ, რომ ბიბლიოთეკას მშობლიურ სახლს, ოჯახს უწოდებთ, მე ვიცი რატომ, მაგრამ თქვენ მომიყვით.....

ჩემი ახალგაზრდული წლები, ორი დისერტაციის დაცვისთვის მზადება და სამწერლო საქმიანობა თქვენს ბიბლიოთეკაში გავატარე. ხალხისთვის სასარგებლო თუ რაიმე გამაჩნია, სწორედ აქ შევიძინე. თქვენი წიგნები ახლაც ჩემი ყოველდღიური „საკვებია“ და აბა რა უნადა ვუწოდო, თუ არა საკუთარი ოჯახი?

3. სწორედ წიგნისადმი სიყვარულმა განაპირობა ალბათ ის, რომ სამეცნიერო მუშაობა სტუდენტობის პერიოდიდან დაიწყო, ხართ 300-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 40 მონოგრაფიის, 700 -ზე მეტი სტატიის ავტორი. რამ გადაგაწყვეტინათ წერა დაგეწყოთ და როგორია თქვენთვის წერის პროცესი?

სტუდენტობის დროს უკვე გამოცდილი მკითხველი ვიყავი. პირველი მოთხრობაც მაშინ დავწერე. სამეცნიერო ნაშრომებმა მართლაც გადააჭარბა სამ ასეულს, ხოლო წიგნებმა და თარგმანებმა 80-ს მიაღწია. ასე იცის წიგნის სიყვარულმა, რაც შეეხება წერის პროცესს, იგი ჩემთვის უდიდესი გატაცება და სიამოვნებაა. თუ არ ვწერ მაშინ ვიღლები.

4. მუშაობდით სხვადასხვა თანამდებობებზე, იყავით მთავარი ექიმი, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე, აჭარის კურორტების მართვის საბჭოს თავმჯდომარე, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი. რაიმე მნიშვნელოვან ამბავს ხომ ვერ გაიხსენებდით ამ პერიოდიდან?

იერარქიული აღმასვლა მართლაც არ მაკლდა. ხანგრძლივი საქმიანობის მანძილზე რა არ შემხვედრია სამწუხარო, დასანანებელი და სასაცილოც. ასეთი შემთხვევები ძალზე ბევრია, მაგრამ 2-3 დავასახელებ: დიდთოვლობას ს. დარჩიძეებიდან ორი ხუნაგიანი ბავშვი წამოვიყვანეთ. ერთი მამას, მეორე მე მეკიდა ზურგზე. გათოშილ ხელებს ბავშვის წინდა მითბობდა. შუა გზაზე ვიგრძენი როგორ გაცივდა ბავშვის ფეხი. მამას არ ვუთხარი. ორივე სასწულოში მივიყვანეთ. მეორე გადარჩა.

რესპუბლიკური კლინიკის ქირურგიულ განყოფილებაში სასწრაფო ოპერაციას აკეთებდა ბატონი აკაკი ბერიძე. ჩემი მისვლა აუცილებელი იყო. სიჩქარეში ხალათის მოხურვა დამავიწყდა. მაქაცარიასდროინდელი ზორბა მომვლელი რუსი ქალი კარებში გადამეღობა. მე მორჩილად დავიხიე უკან და ვიდექი მანამ, სანამ მოწყალების დამ არ მიცნო და არ დატუქსა არასტუმართმოყვარე ქალი მინისტრის შეჩერების გამო. იგი ძალზე შეწუხდა, მაგრამ მე ხელი გადავხვიე და გავამხნევე, ასე უნდა მოიქცე ყოველთვის და ყველასთან მეთქი. ყველაფერი გვენატრებოდა, განსაკუთრებით წამლები, უმეტესი ნაწილი მინისტრის განკარგულებით გაიცემოდა, თუმცა მასაც უნდა ჰქონოდა გარკვეული მარაგი „რჩეულთათვის“. მე დიდსა და პატარას არ ვანსხვავებდი. თუ მქონდა, ყველას გავცემდი, ამიტომ მარაგსაც ვერ ვინახავდი და ხშირად მსაყვედურობდნენ. ჩემი დიდი ჯილდოა როცა ახლა ასეთი ადამიანი ქუჩაში მხვდება და 50 წლის წინანდელ ამბავს იხსენებს, როგორ გადარჩა მისი უნდომად მყოფი ოჯახის წევრი.

რაც შეეხება კურორტებს, ამ საქმეში 1960 წლიდან ჩავები. საკურორტო ქსელის განვითარების გარდა 80-ზე მეტი სამკურნალო მინერალური წყლის გამოსავალი მოვინახულე. ფეხით ვიარე ტყე-ღრეში, სინჯები ავიღე, ანალიზებიც გავაკეთებინე. ვერ წარმოიდგენთ რა სიმდიდრე გვაქვს და უქმად როგორ იღვრება ძვირფასი ელექსირი.

5. ბატონო რამაზ, თქვენ ბრძანდებით საქართველოს ჟურნალისტთა და მწერალთა კავშირის წევრი, პროზაიკოსი, მრავალი წიგნის ავტორი. რამ განაპირობა, ყოფილიყავით პროფესიით ექიმი და თან ამდენი წიგნის ავტორი? რა არის მთავარი ღირებულება ადამიანისათვის რომელიც წერს?

დავიწყეთ ექიმობით. მამამ 18 წელი დაუმსახურებლად გაატარა ციმბირში. იქ ექიმებს დიდი ფასი ჰქონდათ და დროებით რომ დაბრუნდა, დამავლო ხელი და 14 წლის ბიჭი ბათუმის სამედიცინო სასწავლებელში შემიყვანა. 17 წლისა უკვე მოჩიტული ჭაბუკი ფერშლობას როგორ ვიკადრებდი და.... პირველივე ცდაზე სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი. მოთხრობების წერაც გავბედე, ცოტა ჟურნალისტური მონაცემებიც აღმომაჩნდა და გავხდი როგორც, ჟურნალისტთა, ისე მწერალთა კავშირის წევრი. 800-ზე მეტი პუბლიცისტური წერილი, ინტერვიუ და ნარკვევი გამოვაქვეყნე, ვარ ოთხი რომანის და 15-მდე პროზაული კრებულის ავტორი. ადამიანის მთავარი ღვრებულებაც ეს არის, სანამ შეუძლია, კარგად თუ მდარედ, ბოლომდე უნდა დაიხარჯოს საკუთარი ხალხის სასიკეთოდ.

6. თქვენ მინიჭებული გაქვთ საქართველოსა და აჭარის დამსახურებული ექიმის წოდებები, აბუსელიძე ტბელის, ილია ჭავჭავაძის და ზაქარია ჭიჭინაძის სახელობის პრემიები. როგორ ფიქრობთ, თქვენი მთავარი სათქმელი უკვე თქვით თუ ჯერ კიდევ ყველაფერი წინაა?

წოდებებით, პრემიებით და ჯილდოებით მართლაც განებივრებული ვარ, თუმცა ჯერ სათქმელი ბევრია. თუ ტრაზახში არ ჩამომართმევთ, ამჟამად მზად მაქვს ორი რომანი, 12 პუბლიცისტური კრებული და ოთხი სამეცნიერო ნაშრომი.

7. ბატონო რამაზ, თქვენ ქალაქ ბათუმისა და შუახევის რაიონის საპატიო მოქალაქე ბრძანდებით. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით. თქვენი დამოკიდებულება ჩვენი ქალაქისადმი, რა გიყვართ ბათუმში და რას ვერ ეგუებით?

ბათუმი ჩემი ამოუწურავი, უკიდევანო სიყვარულის საგანია. არასოდეს მომწყინდება ქუჩაში ხეტიალი, ამ დროს ძალიან ბევრს აღმოვაჩენ ხოლმე ახალს იმ შენობასთანაც კი რომელიც ათასჯერ მინახავს და დავკვირვებივარ. მიყვარს მისი სიძველეები და ცუდად ვხვდები როცა გავიგებ მათ ხელყოფას. ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, 1968 წელს გამოვაქვეყნე წერილი იმის შესახებ, რომ მაღლივი შენობები ქალაქის სიღრმეში აეგოთ, შენობის სიმაღლე თანდათან შეემცირებინათ და ზღვის სიახლოვეს მხოლოდ ძველი ბათუმური ბელეტაჟები დაეტოვებინათ. ქალაქი ამფითეატრის სახეს მიიღებდა და ყველა მცხოვრებს ექნებოდა საკმაო მზე, ჰაერი და საკუთარი ქალაქის მზერი ტკბობის საშუალება.... ამ წერილის გამო ჯვარ მაცვეს.

8. ბავშვობის მოგონებები ცხოვრების ტკბილი ხანაა, ხომ ვერ გაიხსენებდით რაიმეს, როგორი ბავშვი იყავით?

როული ბავშვობა მქონდა, ჩემი მახსოვრობა 4 წლის ასაკიდან იწყება. პირველი, რაც დღემდე არ მავიწყდება, დედის ავადმყოფობა იყო, მამამ ეტლით წაიყვანა გოროდოკში ახლად აშენებულ სასნეულოში; მეგონა ის ჩემი დედა აღარ იქნებოდა.

მეორე მამის დაპატიმრება იყო 1937-ში, იგი სამსახურიდან აიყვანეს, მე ეს მომენტი არ მინახავს, მაგრამ ამ თემაზე სახლში რომ ალაპარაკდნენ და ვაი-ვიში მორთეს, ბავშვის შეშინებას მეტი რა უნდოდა.

მესამე უფრო სასიამოვნო და დამაიმედებელი სახსოვარია. ჩემს უფროს ძმას რომ ავედევნე სკოლაში და კლასიდანაც აღარ გამოვდიოდი. წერა-კითხვა 5 წლისამ ვისწავლე. სკოლის გამგეს სულკურთხეულ დომენტი ხაინდრავას ისლა დარჩენოდა, შვიდი წლის ასაკში პირდაპირ მესამე კლასში ჩავერიცხე. მისი მეუღლე რაჭველი ქალბატონი ვერა და ცოლის და პაშა ქემოკლიძეები იყვნენ, ვინც მაზიარა ქართულ ლიტერატურასა და მისი სიყვარულიც გამიღვივეს.

მეოთხეც ძალზე სამწუხაროა. კერძო სახლი და კომუნალური ბინა ჩამოგვართვეს. დედაჩემს სამი წელი მოუხდა სასამართლოებში ტანჯვა-წვალება. ხშირად აცრემლდებოდა, მე კი ავტირდებოდი, ზოგჯერ ხმამაღლა... ალბათ ასეთმა მდგომარეობამ ჭირვეული გამხადა.

9. ბატონო რამაზ, თუ არა ოჯახის მხარში დგომა, ალბათ გაგიჭირდებოდათ ყოფილიყავით მრავალმხრივ წარმატებული ადამიანი. თქვენს დიდ ოჯახზეც გვიაშბეთ რაიმე?

მადლობა ღმერთს, მამა 18 წლის შემდეგ დაგვიბრუნდა, ჩემი უფროსი დები და ძმა უკვე დაოჯახებული და განათლებამიღებული იყვნენ. მამის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, მე რომ მის მიერ არჩეულ მედიცინას გავყევი, მეხუთე კურსის სტუდენტი ვიყავი. 1953 წლის მარტში სხვებთან ერთად მეც ვგლოვობდი სტალინის გარდაცვალებას. ეს მაშინ, როცა ამ დროს მამა შუა ციმბირში სამუშაო გადასახლებაში იყო. 1956 წლის მარტშიც ვმონაწილეობდი სტუდენტთა გამოსვლებში. ამის გამო მეგონა მამა გამკიცხავდა, მაგრამ: ეს მარტო ერთი კაცის დაცვა არაა, ეს ჩვენი ერის თავმოყვარეობის დაცვააო, მითხრა.

ოჯახში ყველაზე უმცროსი ვიყავი და დები მივლიდნენ, სტუდენტობის პერიოდი კი ძმის ხარჯზე გავატარე. შემეძინა სამი ვაჟი, ყველა დაოჯახდა. მყავს 5 შვილიშვილი, იანვარში შვილთაშვილმაც გამახარა. ამ ბედნიერებამ ოდნავ გამინელა ის მწუხარება, რასაც 45 წლის შუათანა ვაჟის ფრიდონის გარდაცვალების გამო განვიცდიდი. ჩემი ნამრავლი ხუთი ოჯახის 14 სულითაა წარმოდგენილი. შემეძლია ვთქვა, რომ ოჯახში მეუღლე სრულ იდილიას მიქმნის. ეს რომ არა, ჩემი შრომის ნაყოფი ალბათ განახევრდებოდა.

10. თქვენ პირველად აღმოაჩინეთ, შეისწავლეთ მეცნიერულად ხალხური მედიცინის მარგალიტები აჭარაში, სამხეოზე გამოიტანეთ უნიკალური სამკურნალო კარაბადინი. პირველმა დაარსეთ ბათუმში მედიცინის ისტორიის უძველესი მუზეუმი, სათავეში უდგახართ თქვენს მიერ

დაარსებულ სამედიცინო-ეკოლოგიურ ინსტიტუტს. ასეთ დაუღლელ რუდუნებით შრომაში, ფიქრში, ძიებასა და სიკეთის ქმედებაში გაილია 86 წელი. როგორ ფიქრობთ გასაკეთებელი კიდევ ბევრი დაგრჩათ?

თქვენს ნათქვამში გადაჭარბებული არაფერია, თუმცა მე ჩემი საქმიანობით კმაყოფილი არასოდეს ვყოფილვარ. სულ იმის ფიქრში ვარ, რომ წიგნი კარგი არ გამომივიდა, სტატიაში სრულყოფილად ვერ წარმოვადგინე არჩეული თემა, მეცნიერულ შრომას რაღაც მივაკელი, ტრიბუნიდან და ტელესტუდიიდან გამოსვლაც არ ვარგოდა და ა.შ. რაც შეეხება გასაკეთებელს, ზემოთ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: ერთ თემაზე მუშაობისას, სხვა საკითხებსაც რომ გადავეყრები, ერთდროულად იმაზეც ვიწყებ მუშაობას და ორასი წელიც რომ ვიცოცხლო საქმე არ გამომეღევა. ახლაც ათეულობით დასრულებული და დაუმთავრებელი ნაშრომი მიდევს თაროზე.... დავტოვებ და იმედს გავიყოლიებ, რომ მათ გამოუჩნდებათ პატრონი და გამგრძელებელი.

დიდი მადლობა საუბრისთვის. მგონი იმაზე მეტი გამომივიდა ვიდრე თქვენ გასურდათ. უმადური ვიქნები, რომ დასასრულ დიდი მადლიერება არ გამოვხატო ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიმართ, არ გავიხსენო აწ განსვენებული დირექტორი, უაღრესად ყურადღებიანი ვაჟკაცი გენო მახარაძე, რომლებმაც ჩემს მიმართ პატივისცემა გამოხატეს რუსულ-ქართულ ენაზე ჩემი ბიბლიოგრაფიის გამოცემით. ასეთი პატივი მგონი საქართველოში არცერთ მწერალს და მეცნიერს არ ახსოვს, ამიტომ მე დიდად დავალებული ვარ თქვენი პერსონალის მიმართ, რომლებიც ყურადღებას არასოდეს მაკლებენ და მათი მხრიდან დიდ სიყვარულს ყოველთვის ვგრძნობ.

ბატონო რამაზ ყველგან, რომელ სფეროშიც იღვწოდით, თქვენი სიტყვა თქვით და უკეთილშობილეს, მომხიბვლელ პიროვნებად დარჩით. დღეგრძელობა, სითბო და სიყვარული, წინსვლა და წარმატებები არ მოგკლებოდეთ თქვენი ლამაზი შემოქმედებითი ცხოვრების დიდ გზაზე.

კულტურული პროგრამებისა და სამკითხველო დარბაზებით

მომსახურების განყოფილების უფროსი

მაია ჩხატარაშვილი.

ეთერ თათარაიძის პორტრეტული შტრიხები კითხვა-პასუხის გარეშე

✦ ეთერ თათარაიძე ქართული, არქაული პოეზიის ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელია თანამედროვეობაში. პედაგოგი, პოეტი და ფოლკლორისტი დაიბადა 1956 წლის 15 მარტს ახმეტის რაიონის ზემო ალვანში. 1984 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ხელმძღვანელობს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ზეპირსიტყვიერების მიმართულებას. მეუღლესთან - ამირან არაბულთან ერთად არის სამეცნიერო ნაშრომებისა და პოეტური კრებულების ავტორ-გამომცემელი.



✦ ეთერ თათარაიძის პოეტური კრებულებია: „იმედის გვირილა“, „მთვარის ნალი“, „ჩამომიარ საწუთრომ“,

„100 ლექსი“, „დევილუპეთ!“ „ჩიტ რო იძახს, წიავ“.

✦ წიგნისთვის - „მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი“ (ვაჟა-ფშაველას შესახებ) მიენიჭა პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია. კრებულისთვის „შენდობით მომიხსენიეთ“ (ამირან არაბულის თანაავტორობით) — ლიტერატურული პრემია „საბა“.

✦ ეთერ თათარაიძეს 2007 წელს მინიჭებული აქვს ღირსების ორდენი.

✦ ეთერ თათარაიძე - ცოცხალი ლეგენდა, „დაბადებამდელი ამბებითაც“ საოცრად შთამბჭდავია... „მე არ უნდა დავბადებულიყავი“- ამბობს ის. მამა, სტეფანე, მეცხვარე იყო. როცა

გაიგო, მეუღლე მეოთხე შვილს ელოდებოდა, არ მოინდომა მისი დაბადება. განგების ნებით მოევლინა მთის მარგალიტი ქვეყნიერებას... სტეფანე, მთის კაცებს შორის, ყველაზე დიდი სითბოს გამომხატველი თუში კაცი ყოფილა. ბუნებით მშობარა თუშ ქალს სიბნელის შიშმა ჩუმ-ჩუმი ჩურჩულით წარმოაქმევინა პირველი სიტყვაქარგული ლექსები... შემდეგ იყო სტუდენტობა,

ზეპირსიტყვიერების საღამოები, შრომა და უძილო ღამეები უნიკალური ფოლკლორულ-დემონოლოგიური მასალებისა და ნიმუშების შესაგროვებლად... მისი ლექსები მე-9 საუკუნის ხანმეტიან დიალექტზე შექმნილი პოეზიაა. ლექსები გაჟღენთილია თუმშური კილო-კავით, რაც მის სულიერ განცდებს უკეთ გვაგრძნობინებს... ვახუშტი კოტეტიშვილი ამბობს: „ეთერ თათარაიდის პოეზია გახლავთ დიალექტზე შექმნილი ლიტერატურის უიშვიათესი შემთხვევა.“ ლევან ბერძენიშვილი კი ჭეშმარიტად უწოდებს ეთერ თათარაიდეს ჩვენი დროის ვაჟა-ფშაველას.

ძნელია თანამედროვე ეპოქაში მოდური ლიტერატურული „შედეგებიდან“ საკუთარ კილო-კავზე წერით თავიდან აირიდო მოშურნეთა ქილიკი, მოთმინებითა და ერთგულებით დაუღალავად აკეთო ხელთუქმნელი საქმე. რომ არა ეთერ თათარაიდისა და ამირან არაბულის ფასდაუდებელი შრომა და ღვაწლი, სხვა უამრავ მნიშვნელოვან ფოლკლორულ ნიმუშებთან ერთად, ჩვენ ვერ გავეცნობოდით ვაჟა-ფშაველას ცოცხალი შთამომავლის, მისი ქალიშვილის - გულქან რაზიკაშვილის მონათხრობს მამის ცხოვრების უცნობი დეტალების შესახებ. სიტყვა-სიტყვით დაცულია მისი საუბრის ფრაგმენტები და ჩვენ შეგვიძლია უფრო მძაფრად წარმოვიდგინოთ ვაჟას, როგორც ღმერთკაცის, პიროვნება... პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აუცილებელია დიალექტური ფორმების შენარჩუნება და არქაული ენის, როგორც სალიტერატურო ენის, სულიერი საზრდოს მნიშვნელობის გაზრდა...

✦ აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში შეგიძლიათ გაეცნოთ ეთერ თათარაიდის ავტორობით გამოცემულ წიგნებს: „მთვარის ნალი“ (1988წ.), 100 ლექსი-ეთერ თათარაიდე (2011წ.), „ჩიტ რო იძახის წიავ“(2012 წ.), „დევილუპეთ“ , „დემონოლოგიური თქმულებები“, „შენდობით მომიხსენიეთ“ (თანაავტორი ამირან არაბული)

მასალა მოამზადა წამყვანმა ბიბლიოთეკარმა ნათია დევაძემ.

მწერალ გენრიეტა ქუთათელაძის პორტრეტის გრაფიკული მონახაზები

„პოეზია საგრძნობელ არს და არა საცნობელიო“ - ილიას ამ სიტყვებს შევახსენებ მას, ვისაც სურს



ნამდვილად გაიგოს, თუ რას ვწერ და როგორ“ - ბრძანებს მწერალი გენრიეტა ქუთათელაძე, რომელიც ქმნის: ინტელექტუალურ ლექსს, მედიტაციურ პოეზიას; სადა, ნათელი სტილით დაწერილ მოთხრობებს; ცოდნით, მწერლის მახვილი თვალით დანახულ და ალღოთი დაწერილ ლიტერატურულ ნარკვევებს. ხედავს სულს -

ამოუწურავს და მრავალწახნაგოვანს. გვახედებს საკუთარი გულის საიდუმლო ლაბირინთებში. ფიქრობს, რომ საკრალური დიადი წესრიგი, ბუნების ღვთაებრიობის გამოვლენაა, რომ სიცოცხლე ბუნების უდიდესი საჩუქარია, რომ სიკვდილით არ სრულდება ყველაფერი, რომ სიკვდილი შესაძლებელია ყველაზე დიდი მოგზაურობა იყოს სამყაროში... მომწონს: მწერლის ფაქიზი გემოვნება, მეტაფორულობა, განწყობათა ხატვისა და მეტაფიზიკური ჭკრეტის გამორჩეული უნარი, ბიბლიიდან გამოხმობილი სახეები, სამყაროს ორიგინალური აღქმა - თითქოს სხვა ცივილიზაციებთან შესახვედრად გვამზადებს... .. მაღლობა არსთა განმრიგეს, გვაქვს ბედნიერება პირადად ვესაუბროთ, მოვუსმინოთ გამორჩეულ მწერალს - ბევრისთვის აღმოსაჩენს, უკეთილშობილეს, სათნო ქალბატონს.

--- ქალბატონო გენრიეტა, 75 წელი შეგისრულდათ, კიდევ ერთხელ გილოცავთ. საზოგადოებამ გულმხურვალედ მოგილოცათ. ისე, არც კი გეტყობათ. თავს როგორ გრძნობთ ამ შემოდგომაზე?

--- კარგია, თუ არ მეტყობა. ასაკი ბევრ რამეს ავლენს, ახალგაზრდობაში ადამიანს შეუძლია ვიზუალურ გამომეტყველებას შეაფაროს თავი, მომხიბვლელად გამოიყურებოდეს, სიბერეში კი ასაკი სულის ყოველ ნიუანს ავლენს; მოკლედ, რა სულიერი ავლა-დიდების პატრონი ხარ, აშკარად ჩანს ... ლამაზი მოხუცი, ალბათ ხშირად გაგიგონიათ ასეთი გამოთქმა; ასეა, სულის სილამაზე და სიკეთე ანიჭებს გამომეტყველებას ხიბლს ... ისე, ადამიანის ჭეშმარიტ ასაკს განსაზღვრავს არა დაბადების თარიღი - წლოვანება, არამედ მისი სისხლძარღვების მდგომარეობა. ჩემი ასაკი ჩემთვის პირობითია, ასე მგონია, მაშინაც ვიყავი, სამყაროს შექმნის წინ, სწორედ იმ სინგულარულ წერტილში, ასაფეთქებლად როცა მოემზადა. როგორც ერთგან ვთქვი:

მახსოვს ის წამი, ოდეს ნათელმა განახვნა ბნელი. თავს როგორ ვგრძნობ? ახლა ადამიანი თავს კარგად რომ გრძნობს, დალხინებულად, მგონია, საკუთარი კეთილდღეობის მეტი არაფერი

ანადგულებს. პირად პრობლემებსა და ტკივილებზე საუბარი არ მიყვარს, ყველას თავისი გასაჭირი ყოფნის. თანაც, დიდი დარდი მდუმარეა; მწერალმა კი, ვგონებ, ტკივილისა და მწუხარების განცდა და გაძლება სხვაზე აღმატებულად უნდა შეძლოს თუნდაც იმიტომ, რომ სხვისი მეტად დაინახოს, განიცადოს და სხვას შეეშველოს. საკუთარ პრობლემას ასე თუ ისე გაუმკლავდები კაცი, მაგრამ საზოგადოს? ამბობენ, რთულ დროში გვარგუნა ღმერთმა ცხოვრებაო. მეტ-ნაკლებად ყველა დროს თავისი სირთულე ახასიათებს, მაგრამ ამჟამინდელი დრო მართლაც ძალზე რთულია თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობის გზაზე მრავალ პრობლემას შეეჩეხა: დაკარგული ტერიტორიები, ეკონომიკური სიდუხჭირე, საგანგაშოდ შემცირებული გენოფონდი, გაჩანაგებული ბუნება, სტიქიური უბედურებები ... ეს ყველაფერი ნაწილია იმ პრობლემებისა, რომელთა დაძლევისა და გადაჭრას დრო და ხელისუფალთა გააზრებული მოქმედება სჭირდება.

--- მიუხედავად სიძნელებისა და პრობლემებისა, სიცოცხლე, ცხოვრება საინტერესო და საოცრებაა, არა?

--- ასეა, ნამდვილად, ჰო, მართალია, წინააღმდეგობებითაა სავსე, ზოგჯერ ბოროტებაც მძლავრობს, მაგრამ თავისთავად სიცოცხლე დიდი ბედნიერება და ღვთის წყალობაა. ახლა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ თურმე 400 ტრილიონი შესაძლებლობიდან ადამიანად მოვლინების ერთადერთი შესაძლებლობა არსებობს და ეს შანსი შენ, კონკრეტულ ადამიანს რომ მოგეცემა, ანუ ღმერთი გამოგარჩევს, მაღლიერი არ უნდა იყო?! უბრალოდ, უნდა შეძლო სიცოცხლის საოცრების შეგრძნება, ბუნების იდუმალების, მისი მშვენიერების, უსამანო სილამაზის დანახვა; თავს რომ დაგვნათის ბორჩხალა მზე და ღამით ციმციმა ვარსკვლავები - ბუნების ეს საკრალური ძღვენი მართლაც საოცარი და სასწაული არ არის?

--- ქალბატონო გენრიეტა, მრავალმხრივი შემოქმედი ხართ, პოეზია, პროზა, პუბლიცისტიკა... უფრო რომელ ჟანრში შეძელით თქვენი სათქმელის გაცხადება?

--- ეს განსხვავებული ჟანრებია და თითოეული სათქმელის გამოხატვას შესაბამისად მოითხოვს, არჩევანიც ამის კვალობაზე კეთდება. პუბლიცისტური ნარკვევების წერისას ნამდვილად მეხმარება იმ საგნის ან მოვლენის ცოდნა და ანალიზის უნარი, ინტუიციური ჭკრეტა. ლიტერატურულ გზას აგერ უკვე 55 წელია ვადგავარ, ვარ 18 წიგნის და ათობით სამეცნიერო, ლიტერატურული თუ მხატვრული ნარკვევის ავტორი. კვლავ ვწერ, კვლავ ძიებაში ვარ. ჩემს შემოქმედებას რომ ეცნობიან ჟანრის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამენ - ადრე ზოგი

მინიატურას უწოდებდა, მერე ლირიკულ პროზას, მერე თავისუფალ ლექსს. თავად მე? ვფიქრობ, ფიქრების შემგროვებელი ვარ, ჩემი მთვარის გორა აღმოვაჩინე, იქ დავდივარ, ხმელი ფიჩხებივით ვაგროვებ ფიქრებს და მერე სხვებსაც ვუმხელ... სულ ესაა. როცა ჩემს ნაწერებს ვაქვეყნებ, წიგნების

გარეკანზე ჟანრს არ მივუთითებ, მკითხველს არჩევანის თავისუფლებას ვუტოვებ, როგორ მიიღებს, მისი საქმეა. ისე, სკოლის მოსწავლეებმა ძალიან გაითავისეს ჩემი ლექსები, „მწიგნობრის“ მოსწავლეები ისე მშვენივრად არაკრავებენ. რაც შეეხება კოლეგების დამოკიდებულებას და აღიარებას. ბევრს მოსწონს და ეს რეცენზიითაც გამოხატა. ისე, ყველას მოსაწონს თუ ვინმე წერს, მერწმუნეთ, ის მდარეა. ვოზნესენსკი მართებულად შენიშნავდა, ლექსი სარეცხი ფხვნილი ხომ არაა, ყველას მოეწონოსო. ლექსს რომ ჩაწვდე, სულიერი თვალი და გონი უნდა გქონდეს.

--- ადამიანად ყოფნა, გეთანხმებით, ბედნიერებაა, მაგრამ სევდაც ახლავს ...

--- ადამიანად ყოფნა სევდის გარეშე შეუძლებელია, ჩვენ ხომ უნებლიეთ, დასასრულზე ვფიქრობთ, იმ ადამიანებზე, ჩვენი არყოფნა ტკივილს რომ მიაყენებს... სევდა გვიპყრობს, როცა წარმოვიდგენთ, რომ ერთ დღესაც უჩვენოდ ამოვა მზე, უჩვენოდ ამოვა მთვარე, უჩვენოდ გაიბრწყინებენ ვარსკვლავები, უჩვენოდ გაიშლება იასამანი... მაგრამ ამ ადამიანურ სევდას მეცნიერებმა ახალი მუხტი შესძინეს - თეორეტიკოსი ფიზიკოსები დამატებითი განზომილების არსებობის დამტკიცებაზე მუშაობენ. სიკვდილით არ სრულდება ყველაფერი, სიკვდილი შესაძლებელია ყველაზე დიდი მოგზაურობა იყოს სამყაროში... ეს აზრი არაერთხელ დავაფიქსირე ჩემს ლექსებსა და მოთხრობებში კარგა ხნის წინათ. ასე რომ ... როგორც ჩანს, თვით ყველაზე ჩვეულებრივი მწერალიც კი წინასწარმეტყველია. ისე საერთოდ, ნაღვლიანი ფიქრებისა და სევდის დამღევაში წიგნები მეხმარება - კითხვა ლიტერატურის, ეს მხატვრული იქნება თუ მეცნიერული, ყველა სახეობა ინტერესს იწვევს. დიახ, როგორც ჩანს, მართალია, როცა მედიცინის მუშაკები მიუთითებენ ბიბლიოთერაპიის მნიშვნელობასა და როლზე ადამიანის ცხოვრებაში.

--- წიგნზე შეაჩერეთ ყურადღება, როგორ ფიქრობთ, ქალბატონო გენრიეტა, ბექდურმა წიგნმა დაკარგა მკითხველი?

--- ასე არ ვიტყვდი. თუმცა ახალგაზრდები ელექტროწიგნს ამჯობინებენ. ინტერნეტი უფრო მოსახერხებლად მიაჩნიათ, მაგრამ დიდი მოცულობის წიგნების (თუნდაც „დავით აღმაშენებელი“, ანდა „გმირთა ვარამი“) ელექტროვერსიების კითხვა, თუნდაც სამედიცინო თვალსაზრისით, რამდენად უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის? არადა, ამ ნაწარმოებების წაკითხვა ნამდვილად წაადგებოდა ჩვენს ახალგაზრდობას, აამაღლებდა ეროვნულ ცნობიერებას.

--- თქვენი ლირიკული გმირი და თქვენ?

--- ის, რაც რეალურ ყოფაში ჩემთვის მიუწვდომელია, შემოქმედებაში ახლოა, ბუნებრივი. ჩემი გმირი უფრო მეტრძოლია, ვინემ მე, უკომპრომისო, ამბოხებული, ახლებურად მოაზროვნე, შორსმხედი, უფალთან მოსაუბრე, რომელსაც შეუძლია თამამად განაცხადოს: Ego vir Videns. დიახ, მე ვარ კაცი მხედველი და სულაც არ ვგრძნობ თავს უბადრუკად, რახან მოვკვდები... დღეს ცოცხალი ვარ,

დავაბიჯებ ამ მზისქვეშეთში და ჩემი გონით ზეცასაც ვწვდები, აზრებით ჩემით გადავსებული სამყარო მთელი...

--- მაინც, რა არის მწერლის მისია?

--- სანამ ამ შეკითხვას ვუპასუხებდე, იქამდე კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მწერალს გაცილებით მეტი სიხარულისა და მწუხარების განცდა უნდა შეეძლოს, ვიდრე საკუთარისა; დიახ, მეტი ტანჯვა და მეტი სიხარული, რათა სხვებსაც გაუყოს და გაუზიაროს იგი. რაც შეეხება მწერლის მისიას: უწინაც და ახლაც, მაინც დღევანდელობაში ხვალინდელი დღის ამოკითხვაა. სიყვარულად და სიკეთედ გარდაქმნა სიმულვილი და ბოროტება, ესაა შემოქმედის ცხოვრებისა და შემოქმედების არსი.

--- დიდი მადლობა საუბრისთვის, საოცარი ემოციებისთვის. საინტერესოა სიცოცხლე, როცა თქვენისთანა ადამიანები არსებობენ. მრავალჯამიერ თქვენი სიცოცხლე, ქალბატონო გენრიეტა. სპეციალურად ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის რუბრიკისთვის "მე მზად ვარ გული გადაგიშალოთ".

მწერალ გენრიეტა ქუთათელაძეს ესუბრა ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ნატალია ჭყონია

შეხვედრა საზღაპრეთში - „წერილი ბებიას ჩურჩხელებთან“

2019 წლის 16 იანვარს, 12 საათზე აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების საბავშვო დარბაზში კლუბ



„საზღაპრეთში“ ჩატარდა შეხვედრა ბავშვთა დარბაზის აქტიურ მკითხველებთან. განყოფილების უფროსი თინა ცენტერაძე მიესალმა პატარებს. ბავშვთა დარბაზის მთავარმა ბიბლიოთეკარმა ლელა სურმანიძემ იროდიონ ევდოშვილის მოთხრობა „წერილი ბებიას ჩურჩხელებთან“ წაიკითხა. ესაუბრა იმ განსაკუთრებულ სიტუბოზე და სიყვარულზე, რაც ბებია-ბაბუების შვილიშვილებთან დამოკიდებულებას

მოაქვს. დედაქალაქიდან ბებიასთან სტუმრად ჩამოსულ ირაკლი კვაჭაძეს ახალმა მეგობრებმა დაბადების დღე მიულოცეს, ირაკლიმ კი მადლიერების ნიშნად საშობაო სიმღერა იმღერა. „საზღაპრეთის“ ნამდვილი აღმოჩენა დაგვიანებული სტუმარი, პირველი საჯარო სკოლის მეორე კლასის მოსწავლე, ანდრონიკე ქათამაძე გახლდათ. ეს უცნაური პატარა პალინდრომის (ფრაზის ან ლექსის წაღმა და უკუღმა წაკითხვის ხელოვნება) ნიჭითაა დაჯილდოვებული. მისმა გამოჩენამ დიდებიც და პატარებიც ერთნაირად დააინტერესა და გამოსაცდელად ანდრონიკეს უამრავი კითხვაც დაუსვეს. დასასრულს ბავშვებმა წერილები საკუთარ ბებიებს დაუწერეს და ჩანახატებით გააფორმეს.

საზღაპრეთის გასვლითი პროგრამა

აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების კლუბი „საზღაპრეთი“ ბათუმის მე-3 საჯარო საბავშვო ბაღს ეწვია. (ბაღის ხელმძღვანელი ნანა თედორაძე).



კლუბი „საზღაპრეთის“ დღევანდელი შეხვედრა გამორჩეული იყო, რადგან სასკოლო ჯგუფის „მარგალიტების“ აღსაზრდელებს ქალაქის პირველი მეზღაპრე

და ასტრიდ ლინდგრენის საერთაშორისო პრემიის ნომინანტი - „ქალი, რომელიც ბავშვებს წიგნებს უკითხავს“, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი ინგა გოგიბერიძე ესტუმრა.

ინგა გოგიბერიძემ ბავშვებთან ერთად ნოდარ დუმბაძის საბავშვო ლექსები წაიკითხა და „მხიარული ცხოველების მატარებლით“ იმგზავრა. გარდა ამისა, პატარები შოთა ხოდაშნელის მხიარული გამოცანებით „რის შვილს რა ჰქვია“ გამოსცადა.

ადგილი-ივანე ჯავახიშვილის №72 საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება, მოსწავლეთა დარბაზი, თავისუფალი დაშვება, საინტერესო ლიტერატურა და თვალსაჩინო გოგო-ბიჭების



მომღიძარე სახეები წიგნის შერჩევა და ჟრიაშული. ახალი გამოწვევა, ძველზე დაფუძნებული-მეტი ურთიერთობა სკოლასა და ბიბლიოთეკას, მასწავლებელსაც და ბიბლიოთეკარს შორის. როგორც დორის მეის ლესინგი ამბობს: „არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება წიგნის კითხვისა, იაროთ ბიბლიოთეკაში, დაათვალიეროთ უამრავი წიგნი და აირჩიოთ ის, რომელიც მიგიზიდავს. მოსწავლეთა დარბაზში მკითხველს აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება, საჭიროების შემთხვევაში

სარგებლობენ ბიბლიოთეკარის დახმარებით, რომელიც აუცილებელიცაა. ეს კავშირი დღიდან განყოფილების დაარსებიდან არც გაწყვეტილა..... 2019 წელს კი ასეთი სლოგანით ვაგრძელებთ მუშაობას - „მოგვისმინეთ, მოგვისმინეთ“- ერთად წიგნიერებისაკენ!

საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების

მთავარი ბიბლიოთეკარი მზევინარ კვაჭაძე.

2019 წლის 19 მარტს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების კლუბ „საზღაპრეთს“ ბათუმის მეათე საჯარო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეები სტუმრობდნენ. (მასწავლებელი ნატალია თავართქილაძე).

ბავშვთა დარბაზის მთავარი ბიბლიოთეკარი ლელა სურმანიძე მოზარდებს მისალმების



კულტურასა და ფორმებზე ესაუბრა. ასევე, ღია ბედინამის წიგნიდან, - „ყოფაქცევის კულტურა II კლასელთათვის“, რომელიც მოზარდებში კულტურისა და ცნობიერების ამაღლებას ითვალისწინებს, რამდენიმე პატარა მოთხრობა წაუკითხა.

პატარებს ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი თინა ცენტერაძეც მიესალმა და ურჩია

მშობლებთან ერთად ხშირად იარონ ბიბლიოთეკაში.

სტუმრები ჩვენს „საზღაპრეთში“ არსებულ ანბანის შესწავლის შემდეგ საკითხავ ლიტერატურასა და მოსწავლეების მიერ შექმნილ ხელნაწერ წიგნებსაც გაეცნენ.

დღესვე ჩვენს ბიბლიოთეკას 20-მდე ახალი მკითხველიც შეემატა. მეათე სკოლის მეორე კლასის მოსწავლეების საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში მკითხველებად დარეგისტრირდნენ და ბარათებითაც ისარგებლეს.

ღია კარის დღე

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო - ახალგაზრდულ განყოფილებაში მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ღია კარის დღე გაიმართა. ღონისძიებას კოალიცია „განათლება ყველასათვის“ თავმჯდომარე უძღვებოდა. ირინა ხანთაძემ ბათუმის საჯარო და კერძო სკოლის პედაგოგებს, კამპანიის ის ეტაპები და ძირითადი სიახლეები გააცნო, რომელიც 2019 წელს კონკურსის ფარგლებში ხორციელდება.



„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“ მიზნად ისახავს წარმატებული მასწავლებლების გამოვლენას, საზოგადოებისთვის მათ წარდგენას და ამ გზით პროფესიის პრესტიჟის ზრდას.

2019 წელს წინა წლებისაგან განსხვავებით, მასწავლებლების წარდგენა სკოლების გარდა, ფიზიკურ პირებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებსაც შეეძლება. გარდა ამისა, წელს ნებისმიერ პირს, ექნება საშუალება მხარი დაუჭიროს პროექტს და გახდეს ჯილდოს დონორი.

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“ კოალიცია „განათლება ყველასათვის – საქართველოს“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 2017 წლის 13 მაისს დაწესდა. კონკურსი წელს მესამედ ტარდება. კონკურსში მონაწილეობის მსურველი მასწავლებლების რეგისტრაცია ვებგვერდზე www.tprize.ge 1 მარტს დაიწყო და 20 აპრილის ჩათვლით გაგრძელდება.

PS. მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს 2017 წლის მფლობელი, სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, ლადო აფხაზავა 2019 წლის „მასწავლებლის გლობალური ჯილდოს“ საუკეთესო 10 მასწავლებელს შორის მოხვდა. გამარჯვებული 24 მარტს გამოვლინდება.

გივი ჭიჭინაძის პოეზიის სადამო



✓2019 წლის 28 მარტს, ქალაქ ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების ბავშვთა დარბაზში საბავშვო მწერლის, გივი ჭიჭინაძის პოეზიის სადამო გაიმართა.

✓ბათუმის მეოთხე საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეებმა პოეტის ლექსები წაიკითხეს, ასევე შეასრულეს გივი ჭიჭინაძის ლექსზე შექმნილი სიმღერა.

✓პატარებმა გივი ჭიჭინაძის ლექსების ვიდეო ვერსიაც მოისმინეს, რომელსაც ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი ინგა გოგიბერიძე კითხულობდა.

✓ღონისძიების მონაწილეებს, გივი ჭიჭინაძის ბიოგრაფიაზე და შემოქმედებაზე, ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი თინა ცენტერაძე ესაუბრა. გარდა ამისა, პატარა სტუმრებსა და მათ მშობლებს ჩვენს ბიბლიოთეკაში არსებულ საბავშვო წიგნებზე მიაწოდა ინფორმაცია.

✓ღონისძიება მოამზადა ბავშვთა დარბაზის მთავარმა ბიბლიოთეკარმა ლელა სურმანიძემ.

✓დღეს ჩვენს ბიბლიოთეკას 15-მდე ახალი მკითხველი შეემატა. მეოთხე სკოლის პირველი კლასის მოსწავლეები საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში მკითხველებად დარეგისტრირდნენ და ბარათებითაც ისარგებლეს.

„მთაწმინდის პანთეონი - ქართველთა ნეკროპოლი“

2019 წლის 28 თებერვალს, 15 საათზე, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მოსწავლეთა დარბაზში ჩატარდა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის დაარსების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქალაქ ბათუმის №4 საჯარო სკოლის მე-7, მე-8 და მე-10 კლასის მოსწავლეები (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მანანა გოგუაძე). შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა საბავშვო - ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი თინა ცენტერაძე და ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა მთავარმა ბიბლიოთეკარმა მედეა კალანდარიშვილმა. მოსწავლეებმა ისაუბრეს



მთაწმინდის, იქ არსებული ტაძრების ისტორიულ წარსულზე, ასევე პანთეონის შექმნის ისტორიასა და მის სანახებში დაკრძალულ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შესახებ, რომელთა დამსახურება დიდია ქვეყნისა და ერის წინაშე. ბიბლიოთეკა ვალდებულია შეახსენოს ახალგაზრდობას მისი ქვეყნის ისტორია, რადგანაც ქვეყნის ისტორიაში არ არსებობს წარსული, რომელიც არ განსაზღვრავს მომავალს, ჩვენი მომავალი კი თქვენ ხართ, ჩვენო ახალგაზრდებო!

ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილე

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში, 2019 წლის 31 მარტს, გაიმართა შეხვედრა და ფოტოგამოფენა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმის დღისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული გმირის ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

შეხვედრას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჭვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მთაწმინდა“ თავმჯდომარე ილია ვერძაძე, ქალაქ ბათუმის მერი ლაშა კომახიძე, რეგიონის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებმაც კიდევ ერთხელ გაიხსენეს ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ასპექტები, რამაც საფუძველი დაუდო საქართველოს დამოუკიდებლობას. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ეს დღე მოსწავლე -ახალგაზრდებისათვის, რომლებმაც ის პიროვნებები გაიცნეს, ვინც დამოუკიდებლობის აქტზე 1991 წელს მოაწერეს ხელი- რამაზ სურმანიძე, ანზორ კუდბა და გურამ პაპუნძიძე.



თამარ ლომიძის პოეზიის სადამო

2019 წლის 15 მარტს, 18 საათზე აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ქალბატონი თამარ ლომიძის არაჩვეულებრივი პოეზიითა და მხატვრობით სავსე სადამო ჩატარდა. თამარ ლომიძე იმ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება, ვინც ასხივებს ნიჭიერებას, არაჩვეულებრივი და განსახვავებული სიყვარულის მატარებელი ოჯახი აქვს, ატყვევებს ყველას მისი ჯადოსნური კალმითა და ფუნჯით!!! საიუბილეო სადამოს საოცარი მელოდიებით კომპოზიტორი და ბარდი, ქალბატონი ინგა გოგუაძე ალამაზებდა.



პოეტი, ბარდი და კომპოზიტორი - ინგა გოგუაძე

2019 წლის 12 მარტს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში, გაიმართა შეხვედრა პოეტ, ბარდსა და კომპოზიტორთან - ინგა გოგუაძესთან. სადამოს დასაწყისში პოეტის მეგობარმა, საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა - ინგა გოგიბერიძემ ისაუბრა ინგა გოგუაძის პიროვნულ და შემოქმედებით შტრიხებზე; წაიკითხა ლიტერატურული მინიატურები, რომლებიც შესულია კრებულში: „ჩანაწერები ინგას უბნიდან“.



სადამოზე კომპოზიტორმა შეასრულა რამდენიმე ახალი კომპოზიცია და ერთგვარი პრემიერაც შედგა სიმღერებისა, რომლებიც თანამედროვე პოეტების (ხათუნა შავგულიძე, ნანული გვარიშვილი-ყურშუბაძე) შემოქმედებიდან ააჟღერა სიმღერებად. ულამაზესი, უთბილესი ხმითა და სიყვარულით შეასრულა საავტორო სიმღერებიც, სადაც მუსიკაც და ტექსტიც ინგა გოგუაძის ლექსებიდანაა.

სადამოზე მოწვეულ სტუმრებსა და პოეტს შორის შედგა ულამაზესი ტანდემი; ისაუბრეს ქალსა და გაზახულზე, მშობლიური ქალაქის სიყვარულზე. ლექსებად და სიმღერებად იქცა ნოტები, აკორდები, სიმები.

.....როგორ უხდება ჩვენს ქალაქს ასეთი სალონური სადამოები პოეტებთან - ცისანა ანთაძესთან, მაყვალა დავლაძესთან, ნანული ყურშუბაძესა და სხვა მოწვეულ სტუმრებთან ერთად.

ნოდარ დუმბაძის გამომცემლობის წიგნების წარდგენა

2019 წლის 23 თებერვალს ორდღიანი მასშტაბური ღონისძიების “იყო მკითხველი ეს



თავისთავად სასწაულია...” ფარგლებში აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ნოდარ დუმბაძის გამომცემლობის წიგნების წარდგენა გაგრძელდა.

დღეს ბათუმის საზოგადოებას მიეცა უნიკალური შესაძლებლობა პირადად შეხვედროდა მწერალ ნოდარ მაჭარაშვილს, რომელმაც მისი რომანი „ავი მუსაიფი“ წარადგინა.

ნოდარ დუმბაძის უნიჭიერესმა და საოცრად თავმდაბალმა შვილიშვილმა, ნოდარ მაჭარაშვილმა მისი შემოქმედება პირადად პირველად წარადგინა საზოგადოების წინაშე. შეხვედრას ესწრებოდნენ ისტორიკოსი გიორგი ოთხმეზური, მწერლები გიორგი კაკაბაძე და ნინია სადღობელაშვილი, რომლებმაც საზოგადოებას „ავი მუსაიფის“ შესახებ მიმოხილვა შესთავაზეს, ხოლო პოეტმა ნიკა ჯორჯანელმა მისი პოეზია და თარგმანები წაიკითხა. გამომცემლობის ხელმძღვანელმა, ქალაპატონმა ქეთევან დუმბაძემ კი საზოგადოებას ამცნო, რომ შემდეგი გამოცემებით აუცილებლად კვლავ ესტუმრება ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას.

#იკითხეთჩვენთანერთად!

#წინ მრავალი საინტერესო შეხვედრა გელოდებათ!

ნიაზ ბოლქვადის საჯარო ლექცია წიგნზე -

„აზროვნების ეკოლოგიის - კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება“.

2019 წლის 1 მარტს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა მწერლის, მეცნიერის, პოლიტოლოგისა და ფილოსოფოსის - ნიაზ ბოლქვადის საჯარო ლექცია წიგნზე - „აზროვნების ეკოლოგიის - კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება“.

საღამოს მეცნიერის მეგობრები, მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწეები და თემით დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. გაიმართა საინტერესო დისკუსია და განხილვა ნაშრომის ირგვლივ.

2019 წლის 7 იანვარს, ნორვეგიაში, ქალაქ ოსლოში ნობელის პრემიის კომიტეტმა აღნიშნული ნაშრომი წარმოებაში მიიღო და



ავტორი დარეგისტრირდა როგორც კანდიდატი საქართველოდან ნობელის პრემიის მოსაპოვებლად მშვიდობის დარგში. „აზროვნების ეკოლოგია კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება“ მწერლის მერვე ნამუშევარია. იგი მასზე 12 წლის განმავლობაში მუშაობდა. წიგნი ნათაგმნია რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ივანე მაჩაბლის 165 წლის იუბილე

26 თებერვალს, 16 საათზე, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში მწერლის, მთარგმნელის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის, ივანე მაჩაბლის 165 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. საღამო მოამზადა და წარმართა ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ ნატალია ჭყონიამ. შეხვედრა ინტერაქტიული იყო და ძალიან საინტერესოდ წარიმართა. ივანე მაჩაბლის ცხოვრებაზე, შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრეს ჩაქვის პირველი საჯარო სკოლის მე-12-ე კლასის მოსწავლეებმა დავით წულაძემ, მარიამ ფალავანდიშვილმა, თინათინ ჩხარტიშვილმა. საზოგადოებამ მოისმინა შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანები და „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურენოვანი ტექსტი. ნაჩვენები იყო ივანე მაჩაბლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოკოლაჟი, ვიდეო-დღიური „ლეგენდა - ივანე მაჩაბელი.“



მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ქალაქ ბათუმის საჯარო და კერძო სკოლების წარმომადგენლები, მწერლები. ივანე მაჩაბლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრეს: ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატმა, მწერალმა, მთარგმნელმა, პუბლიცისტმა ნანა ახალაძემ; ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატმა, მწერალმა ბადრი თავზაძემ; სკოლა „იმედის“ ქართული ლიტერატურის პედაგოგმა მაია მენაბდემ; მთავარმა ბიბლიოგრაფმა მანანა ბოლქვაძემ. შეკრებილი საზოგადოება ჩაერთო დისკუსიაში, განსაკუთრებული ვნებათაღელვა გამოიწვია ივანე მაჩაბლის ე. წ. გაუჩინარების თემაზე.

ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ მადლობა გადაუხადა ღონისძიების მონაწილე ახალგაზრდებს, დამსწრე საზოგადოებას. ისაუბრა ბიბლიოთეკაში ჩატარებულ საღამოებში მოსწავლეთა ჩართულობის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე.

ნუგზარ ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო -

„კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“

2019 წლის 21 თებერვალს, 16 საათზე, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის, ბათუმის კოლორიტის, ნუგზარ ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო - „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“ გაიმართა. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ. ღონისძიების წამყვანი იყო ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი - მანანა ბოლქვაძე. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ქალაქ ბათუმის საზოგადოების წარმომადგენლები, მწერლები, პოეტები, ნუგზარ ჯაფარიძის ოჯახის წევრები და ახლობლები.



საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ და ნუგზარ ჯაფარიძის ცხოვრებაზე, მოღვაწეობასა, მეგობრობაზე ისაუბრეს: მწერალმა, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარემ დავით თედორაძემ; მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ რამაზ სურმანიძემ; პოეტმა ვახტანგ ღლონტმა; ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა თინა შიოშვილმა; მწერალმა თენგიზ ცეცხლაშვილმა; პოეტმა ცისანა ანთაძემ; ნუგზარ ჯაფარიძის შვილმა ზაალ ჯაფარიძემ და მეუღლემ - ნათია ბერიძემ.

საღამო მუსიკალურად გააფორმა მომღერალმა სალომე მილორავამ. ნაჩვენები იყო ვიდეო-ფილმი ნუგზარ ჯაფარიძის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდებით.

გურამ დოჩანაშვილის 80 წლის იუბილე

2019 წლის 29 მარტს აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა მწერალ მიძღვნილი საღამო.

ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში გამართულ საღამოს მწერლის შემოქმედების თაყვანისმცემლები, ბათუმის საჯარო და კერძო სკოლების, ბათუმის სამედიცინო აკადემიის მოსწავლეები, სტუდენტები, პედაგოგები, მწერლები, პოეტები და ქალაქის საზოგადოების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, ინგა გოგიბერიძე, მიესალმა საღამოზე მობრძანებულ სტუმრებს და გურამ დოჩანაშვილის ლიტერატურიდან ამონარიდი წაუკითხა. ლიტერატურის მოყვარულთ საყვარელი კლასიკოსი მწერლის, გურამ დოჩანაშვილის, 80 წლის იუბილე მიულოცა საღამოს ორგანიზატორმა, საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ ნატალია ჭყონიამ. „ჩვენ ყველასა გვყავს ჩვენ-ჩვენი გურამ დოჩანაშვილი - ცოტათი მუსიკოსი, ცოტათი არქეოლოგი, დიდი მწერალი!“ - ამ სიტყვებით დაიწყო საღამო; გაიხსენა ცოცხალი კლასიკოსისაგან მოსმენილ-გაგონილი ისტორიები.

გურამ დოჩანაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე შ.პ.ს. „განათლება“ კერძო სკოლა „იმედის“ „მკითხველთა და კრიტიკოსთა კლუბის“ წევრებმა (კლუბის ხელმძღვანელი - მაია მენაბდე) წარმოადგინეს პრეზენტაციები; ისაუბრეს და განიხილეს მათთვის საინტერესო ნაწარმოებები.

შეხვედრა ინტერაქტიული იყო. შემოქმედებითობა წინა პლანზე იყო წამოწეული - კლუბის წევრთა მიერ მომზადებულ სლაიდებსა და ტექსტობრივ მასალაზე დაყრდნობით, კითხვა-პასუხის რეჟიმში, შეხვედრაზე მოწვეული ახალგაზრდები ცდილობდნენ, სიტყვიერად გამოეხატათ ის, რაც აღმოაჩინეს გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებაში.

შთამბეჭდავი იყო პოეტ ვახტანგ ღლონტის გამოსვლა. პოეტმა ცისანა ანთაძემ კი საზოგადოებას იუბილარისადმი მიძღვნილი ლექსი წაუკითხა.

შეხვედრა პოეტ, ლიტერატურათმცოდნე ქეთევან შენგელიასთან

შეხვედრის დასასრულს, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა - მარინა ტალახაძემ გაიხსენა 14 წლის წინ ბათუმის დრამატულ თეატრში გურამ დოჩანაშვილთან გამართული შეხვედრა. შეკრებილ საზოგადოებას მიეცა შესაძლებლობა, ენახა ეს ჩანაწერი.

2019 წლის 8 თებერვალს, 16 საათზე, აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა ულამაზესი შეხვედრა პოეტ, ლიტერატურათმცოდნე ქეთევან

შენგელიასთან. იგი ამავე დროს არის პროექტის "სამი სავარძელი ხელოვანთათვის" იდეის ავტორი. სადამო მისასალმებელი სიტყვით გახსნა და დამსწრე საზოგადოებას პოეტის ულამაზესი ლექსი წაუკითხა საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქეთევან შენგელიას მეგობრები, პოეტები, მწერლები, ქალაქ ბათუმის პირველი და მეორე საჯარო სკოლების უფროსკლასელები და პედაგოგები. ასევე, ქალაქის საპატიო სტუმრები



და ინტელიგენცია. სადამო პოეტის ლექსებზე შექმნილი მუსიკით გააფორმა კომპოზიტორმა და ბარდმა ინგა გოგუაძემ. სადამოს დასასრულს ღონისძიების ორგანიზატორებს და მოწვეულ სტუმარს თბილი სიტყვებით მოეფერენ: პოეტი ცისანა ანთაძე, მწერალი ანზორ კუდბა, პედაგოგი მედეა ცინცაძე.

ქალბატონი ნაზი სარჯველაძის სადამო

2019 წლის 31 იანვარს, ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას სტუმრად ეწვია საუკეთესო ბათუმელი, ქველმოქმედი, ქალბატონი ნაზი სარჯველაძე. გაიმართა კლასიკური მუსიკის სადამო. ქალბატონმა ნაზიმ შეკრებილ საზოგადოებას დაუვიწყარი, ლამაზი სადამო აჩუქა.



ქალბატონი ნაზი სარჯველაძე შეუერთდა პროექტს „წიგნი, ავტორი, მკითხველი“ და აჭარის მაღალმთიანი რეგიონის სკოლებისთვის საჩუქრად საუკეთესო ლიტერატურა გადმოგვცა.

Saorsa - საორსას ერთობლივი პროექტი

ბათუმის ამერიკული კუთხისა და Saorsa - საორსას ერთობლივი პროექტი 'პროფესიული ორიენტაცია აჭარის რეგიონებში მცხოვრები მოსწავლეებისთვის' წარმატებით დასრულდა.

პროექტის მონაწილე 50 მოსწავლე სერტიფიკატებით დაჯილდოვდა. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში.



Graduation Ceremony for 'Career Orientation Program' participants at Batumi Public Library

პრეზენტაცია თემაზე: „წარმატებული დიპლომატი ქალბატონები“

2019 წლის 4 მარტს, 17:00 საათზე აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის „ამერიკულ კუთხეში“ ჩატარდა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი პრეზენტაცია თემაზე: „წარმატებული დიპლომატი ქალბატონები“. პრეზენტაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკათმცოდნეობის სტუდენტმა თეკლე ჩხაიძემ ჩაატარა.



საჯარო ლექცია „საქართველოს ევროპული გზა - მიღწევები, გამოწვევები“

2019 წლის 5 მარტს, 16 საათზე აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის „ამერიკულ კუთხეში“ ჩატარდა საჯარო ლექცია „საქართველოს ევროპული გზა - მიღწევები, გამოწვევები“. ლექციას უძღვებოდა საინფორმაციო ცენტრის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ რეგიონალური წარმომადგენელი აჭარაში ირმა გაბინაშვილი. საჯარო ლექციას ესწრებოდნენ ქალაქ ბათუმის პირველი და მეორე საჯარო სკოლების უფროსკლასელები და პროექტ „ექსესის“ მონაწილე ახალგაზრდები. შეხვედრას საინტერესო და შემეცნებითი სახე ჰქონდა, რომლის დასკვნითი ეტაპი კითხვა-პასუხის რეჟიმს დაეთმო.



ამერიკის ელჩი საქართველოში ბატონი როს უილსონი მეუღლესთან ერთად ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას სტუმრობდა. ელჩი „ამერიკული კუთხის“ და პროგრამა „ექსესის“ მოსწავლეებს შეხვდა და ახალგაზრდებს დიპლომატიური გამოცდილება გაუზიარა, მისცა კონკრეტული რჩევები, თუ როგორ უნდა გახდნენ დიპლომატები. ამერიკის ელჩმა საჯარო ბიბლიოთეკა დაათვალიერა, შეიხედა საცავებში, აღფრთოვანებული დარჩა უნიკალური ფონდის ნახვით. აღნიშნა, რომ დიდი ბებია ბიბლიოთეკარი ჰყავდათ და ძალიან უყვართ ბიბლიოთეკა,



ტრენინგ-მოდული „პროგრამათა და აქტივობათა სტრატეგიული დაგეგმვა“



2019 წლის 19 მარტს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ტრენინგ-მოდული „პროგრამათა და აქტივობათა სტრატეგიული დაგეგმვა“.

სამუშაო შეხვედრა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარებთან საინტერესო, დატვირთული და პროდუქტიული იყო. მონაწილეებმა ახალი პროგრამებისა და

საბიბლიოთეკო საქმიანობის სტრატეგიულ დაგეგმვაზე იმუშავეს. (SWOT analysis: SMART goals; A-F strategy).

აქტივობები მოიცავდა:

1. ბიბლიოთეკის განყოფილებებისა და ამჟამინდელი საქმიანობის SWOT ანალიზს;
2. ახალი პროგრამების, პროექტების, სამუშაო პოლიტიკის დასახვას;
3. A-F სტრატეგიას და მის საბიბლიოთეკო საქმიანობაზე მორგებას;
4. ბიბლიოთეკის SMART მიზნებს;

ბიბლიოთეკარებმა ჯგუფური მუშაობის პრინციპით გააკეთეს პრეზენტაციები და წარმოადგინეს საკუთარი მიმოხილვები შერჩეული თემის და პროექტის ირგვლივ. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი ტრენინგ-მოდულიში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარები მადლობას უხდიან დირექციას საჭირო და დროული ტრენინგის დაგეგმვისათვის და ტრენერ მამუკა საფარიძეს საინტერესო და კომპეტენტური აქტივობისათვის.

ტრენინგ-შეხვედრა თემაზე: მარკეტინგისა და პრომოუტინგის ბაზისები!

ქალაქ ბათუმის კერძო და საჯარო სკოლის ბიბლიოთეკებისათვის 2019 წლის 28 იანვარს, დღის 12 საათზე, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა საინტერესო ტრენინგ-შეხვედრა თემაზე: მარკეტინგისა და პრომოუტინგის ბაზისები!

ტრენინგ-შეხვედრის ხანგრძლივობა 180 წუთი იყო. ტრენინგში მონაწილეობა 20 ბიბლიოთეკარმა, 2 ადმინისტრატორმა და 8 სტუდენტმა მიიღო. მოწვეულმა სტუმრებმა საჯარო ბიბლიოთეკა დაათვალიერეს და გამოთქვეს მზადყოფნა მომავალი თანამშრომლობისათვის.



ტრენინგი ჩატარა ტრენერმა მამუკა საფარიძემ.

ტრენინგ შეხვედრის მანძილზე აპლიკანტებმა შეისწავლეს ბრენდის სამუშაო სივრცის და სერვერების პოპულარიზების სხვადასხვა სახის ტექნიკური შესაძლებლობანი. ტრენინგის დამთავრებისთანავე ყველა მონაწილეს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატი.

ჩვენი ბიბლიოთეკა საქმით იბრუნებს რესპუბლიკური მასშტაბით სხვადასხვა ბიბლიოთეკებისათვის მეთოდური დახმარების ყველა ფუნქციას.

ტრენინგ-შეხვედრა თემაზე: მარკეტინგისა და პრომოუტინგის ბაზისები!

2019 წლის 25 იანვარს, 12 საათზე, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დაკომპლექტების, კლასიფიკაციისა და კატალოგების ორგანიზების განყოფილების მთავარმა ბიბლიოთეკარმა ნანა გვარიშვილმა საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებისა და დაინტერესებულ პირთათვის ჩაატარა პრეზენტაცია თემაზე: „ინოვაციები და იდეების ზონები პოლონეთის ბიბლიოთეკების მაგალითზე“.

ნანა გვარიშვილმა მონაწილეობა მიიღო პროექტში „ბიბლიოთეკა როგორც თანამედროვე აგორა“, რაშიც გამარჯვების მოპოვების შემდეგ გაცნობითი ვიზიტით გაემგზავრა პოლონეთში, სადაც მოინახულა ქალაქ ვარშავისა და ოსვენციმის ბიბლიოთეკები.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი ფოტო, ვიდეო და ინფორმაციული სლაიდებით ნაჩვენები იყო პოლონეთის ბიბლიოთეკების ისტორია, სტრუქტურა, განვითარების ეტაპები და სამუშაო პროცესები. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, ნანა გვარიშვილმა უპასუხა ბიბლიოთეკარების მიერ დასმულ შეკითხვებს, გაიმართა საინტერესო დისკუსია, იმსჯელეს თუ როგორ შეიძლება პოლონეთის საბიბლიოთეკო სივრცეების მაგალითზე თანამედროვე ბიბლიოთეკა გახდეს უფრო მიმზიდველი ყველა თაობის მკითხველთათვის.

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა მადლობას უხდის ქალბატონ ნანა გვარიშვილს საინტერესო და სასარგებლო პრეზენტაციისთვის და წარმატებებს უსურვებს პროფესიულ საქმიანობაში.



მხატვრის მასტერკლასები

2019 წლის 14 თებერვალს, 15 საათზე, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში პროექტ - „მხატვრის მასტერკლასები“-ის ფარგლებში, მხატვარ - ელგუჯა ხაზარაძის მასტერკლასი ჩატარდა.

შეხვედრა ქალაქ ბათუმის მე-3 საჯარო სკოლის, სასულიერო გიმნაზიის, კერძო სკოლა „იმედის“ მოსწავლეებთან და ხელოვნების ამ დარგით დაინტერესებულ ახალგაზრდებთან ერთად შედგა. პატარა ხელოვანებმა გრაფიკული ნახატი ნატურიდან შეასრულეს. მხატვარი ხატვის პროცესში ბავშვებს უხსნიდა გრაფიკული ნამუშევრის აგების ტექნიკას. საჯარო



ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ „ნორჩი მხატვრების“ ნამუშევრები საგანგებოდ გამოყოფილ ადგილზე საკუთარი ხელით და ავტოგრაფით გააკრეფინა ბავშვებს. ამ ნახატების ნახვა საჯარო ბიბლიოთეკის მკითხველს და სტუმრებს მომდევნო მასტერკლასამდე შეეძლებათ.

#დახატედადინახე

სამყარო უფრო ლამაზ ფერებში საჯარო ბიბლიოთეკასთან ერთად!

ფრანგული ენის შემსწავლელი კურსი

2019 წლის თებერვლის თვეში, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში დაანონსებული იყო ფრანგული ენის შემსწავლელი კურსის შექმნა. მოსწავლეთა ათკაციანი ჯგუფი მალევე შედგა და 2 მარტს პირველი გაკვეთილი ჩატარდა. სასწავლო კურსის ხელმძღვანელმა, წამყვანმა ბიბლიოთეკარმა ელენე ტულუშმა, მოსწავლეებს მოკლედ ესაუბრა თუ რა დანიშნულება და გავლენა აქვს ფრანგულ ენას მსოფლიოში.



აღნიშნა, რომ საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში შევიდა. უცხოური ენების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ამ სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება. თითოეული მოსწავლე საუბრობდა, თუ რა ემოცია აკავშირებს მათ ფრანგულ ენასთან და რატომ გადაწყვიტეს მათ ამ ენის შესწავლა.

გაკვეთილი ფრანგული ენის ანბანით და მისასაღმებელი სიტყვების შესწავლით დაიწყო, ეროვნებისა და ქვეყნების ჩამოთვლით, ვისაუბრეთ გრამატიკაზე, პირის ნაცვალსახელებზე და ზმნის უღლებაზე ახლანდელ დროში.

გაკვეთილის პროცესმა ფრიად სახალისოდ და საინტერესოდ ჩაიარა.

ახალი ტექნოლოგიები

2019 წლის 6 მარტს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა შემეცნებითი საჯარო ლექცია „თანამედროვე სამყაროს ახალი ტექნოლოგიები“. ლექცია ჩატარა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა, „ამერიკული კუთხის“ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორმა ზურაბ მესხიძემ.

ლექცია „თანამედროვე სამყაროს ახალი ტექნოლოგიები



„ვირტუალიზაცია“

სამგანზომილებიანი ტექნოლოგიების გამოფენაა, რომელიც ჩვენი კლუბის 'Virtual Rangers' ახალგაზრდების აქტიური ჩართულობით განხორციელდა. შუალედური გამოფენის გაგრძელებას მაისში იხილავთ, რომელზეც ბევრ ახალ ტექნოლოგიურ მიღწევას გიჩვენებთ.



3D Exhibit Show 'Virtualization' and

'Virtual Rangers' Club members organizing their first exhibit opening at American Corner Batumi.

უცხოური განყოფილება - ჩატარებული სამუშაოები და დასახული ამოცანები

2019 წლის 28 თებერვალს, 12 საათზე, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში უცხოური განყოფილების უფროსმა, ქეთევან ხოსრუაშვილმა გამართა პრეზენტაცია საჯარო ბიბლიოთეკის უცხოური განყოფილების მუშაობის და ჩატარებული საქმიანობის შესახებ.



პრეზენტაციის სახით წარმოადგინა 2016-2018 წლებში გახორციელებული კულტურული ღონისძიებების, „ამერიკული კუთხის“ კლუბური შეხვედრების, საჯარო ლექციების, პრეზენტაციების, აქტივობებისა და ტრენინგების შეჯამება. განყოფილებაში მიმდინარეობს უცხოური ლიტერატურის ფონდის ელექტრონული კატალოგების შექმნა. ელექტრონულ ბაზაში განთავსებულია 1815 უცხოური წიგნის და 389 DVD დისკის ელექტრონული კატალოგი.

ქეთევან ხოსრუაშვილმა ყურადღება გაამახვილა მკითხველთა ინტერესებიდან გამომდინარე სწორი და საჭირო რჩევების აუცილებლობაზე, რაშიც განყოფილების ყველა თანამშრომელი აქტიურადაა ჩართული.

პრეზენტაციის დასასრულს ქეთევანმა კოლეგებს მადლობა და სიყვარული ჟესტური ენით გადაუხადა და საპასუხოდ კოლეგებისგანაც ჟესტური აპლოდისმენტები დაიმსახურა.

ქველმოქმედება

ქალაქ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის I-ლი კურსის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები ინგა სურმანიძე, ლაურა სურმანიძე, მირიან სურმანიძე, ანა ვანიძე, ანა საბულია ახალ საქველმოქმედო პროექტს შეეჭიდნენ, რათა ქ. ბათუმის 26-ე მაისის ქუჩაზე მდებარე #106 საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლს დაეხმარონ.



#სიკეთე გადამდებია, ამ ეგიდით პროექტმა „წიგნი, ავტორი, მკითხველი“ (ი. გოგიბერიძე) სტუდენტებს საჩუქრად 15 ცალი წიგნი გადასცა 60 (სამოცი) ლარის ღირებულების წარმატებით გველოთ სიკეთის გზაზე ახალგაზრდებო!

კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა

